



# საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობა

2633  
1951

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

## „LE DESTIN DE LA GÉORGIE“ Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien.

Rédacteur en chef : K. SALIA. 8, rue Berlioz, Paris (16<sup>e</sup>). Tél.: Passy 75-35.

№ 9

მ ა რ ტ ი — 1951 — M A R S

№ 9

### S O M M A I R E :

1. K. Salia — Trois Dates Historiques.
2. M. Megobrichvili — 25 Février (à l'occasion du 30-ème anniversaire de l'occupation de la Géorgie).
3. Grigol Robakidse — Récit Humoristique.
4. Prof. M. Tserethéli — «Histoire et éloge des Souverains». (Etude littéraire, fin).
5. R. P. M. Tarknichvili — Les Monuments de l'art Géorgien à Antioche.
6. G. Kipiani — Poésie dédiée à Grigol Robakidse.
7. M. Dadiani — Poésie.
8. J. Jguénti — Poésie.
9. G. Keresselidzé — Enseignement de Jésus Christ et la Nation Géorgienne.
10. N. Nakachidzé — A la Mémoire du Maréchal Mannerheim.
11. N. Salia — La vie des Géorgiens à Paris.
12. Prof. Ch. Beridzé — B. Barbielini.
13. J. Gogolachvili et G. Keresselidzé — Au sujet du tombeau de Solomon II, Roi de Géorgie.
15. Conférence de M. Tchoubinidzé sur l'Histoire du développement de l'Industrie du Manganèse de Tchiatouri (Géorgie).
16. Bibliographie.
17. Chronique.

### ს ა მ ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი თ ა რ ი ლ ი

1800 წლის 28 დეკემბერს, დილის 11 საათზე, „დიდებანდევთა ძველთა წესითა დაჰყარნეს ეკლესიისა იატაკსა საწერეელნი და ყალამნი, ნიშნად შეყენებულისა ბრძანებათა მწიქროლობისა; ხელჯობანათა — სასახლისა კვერთხნი, ნიშნად გაუქმებულისა მათისა ხელობისა. ეკლესია ვალოზდა პანაშვიდსა საგალობელთა. დედოფალი მარიამ და შეიღწი სტიროდნენ ობლობისა მწუხარებასა“. აღესრულა საქართველოს მეფე, გიორგი XII.

უკანასკნელი ბაგრატიონი ქართლ-კახეთის ტახტზე გიორგი XII, მეტად განათლებული და სათნოიანი პიროვნება იყო, მანამ თავისი ხასიათით ის სრულებით არ შეეფერებოდა იმ მძიმე

როლს, რომელიც მას ბედმა არგუნა. ორმოცდაათობმეტწელიწადში რომელიც მან იცხოვრა, ორმოცდათერთმეტი მემკვიდრედ გაატარა და როდესაც ის ტახტზე ავიდა, იყო სულით ლოცვებისაგან და ხორციით სწეულებისაგან დამძიმებული ხანში „შესული კაცი. მისი სამეფო კი ამ დროს უდიდეს განსაცდელში იმყოფებოდა და როგორც აღიქმსანდრე ჭავჭავაძე ამბობს: \*) „სა-

\*) იხ. ა. ჭავჭავაძის: საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1800-1831 წლამდე.



ქართველო მაშინ ისეთ მძიმე ავადმყოფს ჰგავდა, რომელიც ძლიერ - ლა შეუძლიან მკურნალს თავისი სისუსტე ამცნოს; და იანა შეეძლო მას ამ დროს რისიმე წინააღმდეგობა? იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის მფარველობა მისთვის აუცილებელია და ამიტომ ამის შესანარჩუნებლად ყველაფერი სხვა გასწირა“.

შეწუხებული მიეფე „სამეფოსათვის დაუწყნარებელისა შინა შფოთთაგან და მტერთა ლეკთაგან გაქლევისაგან, ფიქრობდა და განიძრახვიდა რუსეთისადმი ქვეყნისა გარდაცემისა“, სწერს პლ. იოსელიანი, გიორგის მიეფის ისტორიკოსი. შეგნებულნი და შორის მჭვრეტნი კი მიეფეს ურჩევდენ რუსეთს არ დანდობოდა. „ევროპისა მეფეთა ვერ უძლებს სამეფო მენი ტკბილი. წესდება და მათი ჩვეულება იქმნება სამძიმო თქვენთვის, დამონებულნი სხვათაგან მიეფობა არის უბედური და მარადის სამწუხარო, აფრთხილებდა მას პატრი ნიკოლა. სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქმნების დაკინებული და საკიცხველი. უცხო ნათესავი, პატრონად ქვეყნისა მოყვანილი, შეეჭმის ერსა მტერად და მდევნელად, და მასწუხებლად. მამაშვილური მთავრობა მიეფეთა გაუდასრულებელ მამინაცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა უგვანისა და ბუნებისაგან არაოდეს აღსარებულისა. რუსნი შემოიტანენ პოჭველადვე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყნისა კისერსა; მოითხოვენ დიდთა ხარჯთა, რომელითაცა თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ თქვენნი მამულნი და ყმანი გაიწყიდებიან ბარაბანით და მკვდარნი თქვენი დაიმარხებიან მუსიკითა“.

„ჩემო პატრო! უპასუხა მიეფემ, დავესუსტდით, გაქრება ქრისტიანობა აქ ურუსოდ. მეტად მოგვერია მტერი და რა მტერი! ქრისტესი. თუ არ მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერვინ დაიცვამს საქრისტიანოსა. მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედ ბრძანებლობისა. რა ვქნა, ვის მივმართო? რა პასუხი ვავსცე ქრისტესს! იერი წავიწყებდ სულსა... ესე იყო პაზრი მამისა ჩემისა და მეც დავადებდი მასზედ. ჩემი პირობები რუსეთისა მეფესთან, — საკეთილონი არიან ქვეყნისათვის“.

რა იცოდა ამ უაღრესად პატრიოსანმა, ღვთის მოსაგმა ადამიანმა, რომ სწორედ თვე ნახევრის შემდეგ მისი სიკვდილისა მიუხეანათური დაღატოთ გააქარწყლებდა მის იმედებს ქრთ მორწმუნე რუსეთი, რომელსაც ის მიიწოდო!

16 თებერვალს 1801 წელს, ტფილისში წაკი-

თხულ იქმნა იმპერატორ პავლეს მანიფესტი ქართლ - კახეთის რუსეთთან „შეერთების“ შესახებ.

ასორიშოცდაათმა წელმა იანვლო მას შემდეგ, რაც სიონის ტაძრის ზარების რეკვამ ამცნო საქართველოს, მისი თავისუფლების დასამარება.

იმპ. პავლეს მანიფესტმა მეტად მძიმე და ორჭოფულ მდგომარეობაში ჩააყენა ტახტის მემკვიდრე დავით და ამ დროს რუსეთიდან დაბრუნებული გიორგი მიეფის ელჩები ავალიშვილი და ფალავანიშვილი, რათგან მანიფესტი სდუმდა სამეფო დინასტიის უფლების შენარჩუნების თაობაზე. ელჩები დაუყონებლივ გაემგზავრნენ პეტერბურგს, სადაც მათ წარადგინეს შუამდგომლობა ქრთ - ერთი მიეფის ძის მიეფედ დანიშვნის შესახებ, იმპერატორის მოადგილის ტიტულით საქართველოში თანახმად გიორგი მიეფის თხოვნისა. იმპერატორი პავლე ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო და ეს საკითხი ალექსანდრე პირველს უნდა გადაეწყვიტა. ეს უკანასკნელი მამის მანიფესტის წინააღმდეგი იყო, იგი მას დალდობად სთვლიდა ქართველი ერის მიმართ, მაგრამ სახელმწიფო საბჭოს სურვილის წინააღმდეგ ვერ წავიდა, რომელსაც სასარგებლოდ მიაჩნდა ქართლ - კახეთის შემოერთება.

ტახტის მემკვიდრე დავით, მამის სიკვდილის შემდეგ საქართველოს რეგენტად დანიშნული, პეტერბურგიდან ელოდა სამეფო ნიშნებს. საიდუმლო განკარგულების თანახმად, გენ. ლაზარევი მისთვის მას არ გამოეცხადებინა თავისი თავი მიეფედ, იმპერატორისაგან სათანადო ნებართვის მიღებამდის.

„მღვიმარენი დაუკარგველობისათვის მეფობისა, მიეფის ძენი: იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ და მიხეილ, სარდალო იოანე ყაფლანისშვილი, ეგნატე იოსელიანი, შვითან თარხნიშვილი და მათ შორის უბრძნესი და ნათლად მხედველი მყობადისა და მომავლისა სოლომონ ლეონიძე, რომელიც ვითარცა ლომი ვარემოცული მტერთაგან იბრძოდა ქვეყნისათვის, სთხოვდნენ და ივედრებოდნენ დავითსა, წავიდეს მცხეთას და დაგვირგვინდეს მიეფედ“; სწერს გიორგი მიეფის ისტორიკოსი. დავითმა ესე არ ინება, ელოდა სამეფო ნიშანთ რუსეთიდან.

„ნუ ჰკარგავ მეფობასა და ნუ ჰღუპავ ქვეყანასა“, ეხვეწებოდა მას სოლომონ ლეონიძე. „ბატონიშვილო და ბიძაე! მიმართავდა იოანე





სარდალი ტახტის მემკვიდრეს. მიბრძანე და ვა-  
მოფუცხადებ რუსისა აქა ჯარისა წარვიდეს რუ-  
სეთად, და თუ არ იქმს რუსის ღვეწრალი, ადვი-  
ლია მისი აქედან განდევნა. დავიცვათ მეფობა  
და ვანვაშტყიკოთ მეფობითი სახელი ჩვენი, რო-  
გორც გვიმეტვისა, ისევე ვიმეფოთ“. ამის იყო  
ყველაფერი. დავითს მართლა სჯეროდა, რომ  
მოიღებდა დამტყიცებას რუსეთიდან და მეფე გა-  
ხდებოდა. უფრო წინდხედულონი მეფის ძენი იუ-  
ლონი, ვახტანგ, მიროან და ფარნავაზ შეიკრიბ-  
ნენ ღუშეთს, მივიდნენ მტხრანს, და სურდათ  
მეფედ ეგვირგვინებათ იულონი მტხეთას. მაგრამ  
დავითმა ეს გეგმა ჩაშალა გენ. ლაზარევის და-  
ხმარებით.

მართალი იყო სოლომონ ლეონიძე, როცა ამ-  
ბობდა: „დავითმან დაღუბა ოჯახი მცვეთა, ვა-  
მოსჭრა ყელი მეფობასა და დაამტკირა ერი თვი-  
სი და თვით თავი თვისი“.

ტფილისში გამოგზავნილმა კავკასიის ხაზის  
უფროსმა გენ. კნორრინგმა იმპ. ალექსანდრეს  
აქნობა თავისი აზრი ქართლ - ვახეთში რუსული  
მმართველობის შემოღების საჭიროებაზე და ამას-  
თანავე ისიც, რომ მას მისაღებად არ მიიჩნდა მე-  
ფის ძეთათვის რისივე უფლებების დათმობა. ამ აზ-  
რის მიხედვით საბოლოოდ გადაწყდა საქართვე-  
ლოს ბედი, რაიცა დადასტურდა ალექსანდრეს  
მანიფესტით 12 სექტემბერს 1801 წელს. სამეფო  
ნიშნების მაგიერ დავით ბატონიშვილმა ალექ-  
სანდრე ნიციელის ორდენი მიიღო. მან რუსული  
მუნდირიც გაიხადა და ორდენთან ერთად პრო-  
ტესტის ნიშნად რუსეთის იმპერატორს უკან გა-  
უგზავნა. მაგრამ უკვე გვიანდა იყვნენ თითხე  
კბენანი. „ღვთის მიერ დამყარებული და ძველ  
გვარობით სწორუპოვარი ბაგრატიონთა სახ-  
ლი“ დაემხო.

ამ საბედისწერო ეპოს, როდესაც ქვეყნის ბე-  
დი დიდი ხნით სწყდებოდა, ბაგრატიონებს არ  
აღმოაჩნდა ის სიბრძნე და მისწერი ნათელხილ-  
ვა, რომელიც მათ დინასტიას უსაშინელებს პი-  
რობებშიც საქართველოს ტახტზე ინახავდა.  
ერთ - ერთი მიზეზთაგანი მათი სისუსტისა ისიც  
იყო, რომ ძალიან ბევრნი იყვნენ, ერთმანეთში  
შური და უთანხმოება ჰქონდათ და გაერთიანება  
ვერ შესძლეს. მარტო გიორგი მეფეს თერამეტი  
შვილი ჰყავდა. რასაკვირველია, მათ ადვილად  
არ დაუყრიათ იარაღი და ბევრი სასახლო ფუ-  
რცილიც ჩასწერეს საქართველოს ისტორიაში.  
ქართველი ერიც იარაღს ინახავდა ერთ მათ და-  
ძახებაზე და თავგანწირულ ბრძოლებს აწარმო-

ებდა მათი ხელმძღვანელობით დაკარგული თა-  
ვისუფლებების აღსადგენად. ბაგრატიონების სიტ-  
ყვას თილისმური მნიშვნელობა ჰქონდა ხალხი-  
სათვის და ამიტომ იყო, რომ კნორრინგი, ლა-  
ზარევი და ციციანოვი შეუდგენ დაუყონებლივ  
სამეფო სახლის წევრთა რუსეთში გადაყვანას  
„დაწყნარებისათვის და განქარვებისათვის ამბო-  
ხისა ქართველთაგან“. მოკლედ ხანში კიდევაც  
მოაშორეს საქართველოს თითქმის ყველა ბაგ-  
რატიონები.

ასე, ძვირად დაუჯდა ჩვენ სამეფო სახლს და  
საქართველოს მთელი მეთვრამეტე საუკუნის  
განმავლობაში და წინადაც წარმოებული პოლი-  
ტიკა რუსეთის მეგობრობისა და მფარველო-  
ბის მოსაპოვებლად.

რუსეთის მიერ ჩადენილმა ვერაგობამ შენაძ-  
რის მთელი საქართველო; ერმა იარაღს მიმართა  
და 1802 წლის აჯანყებით დაიწყო ის შემზარა-  
ვი ტრაღედია, რომელიც დატრიალდა ჩვენს მი-  
წა - წყალზე და საუკუნეზე მტეტი გაგრძელდა.

პირველი დროშა აჯანყებისა რუსეთის წინა-  
აღმდეგ დაუღეგარა ალექსანდრე ბატონიშვილ-  
მა ააფრიალა. მთელი 30 წლის განმავლობაში  
ჩვენი ქვეყანა ომისა და აჯანყების ცეცხლში  
იყო გახვეული. მშვიდჯერ მოაწყო მან შეიარა-  
ღებული ვამოსვლა, მაგრამ მტრის სიმრავლემ  
სძლია საბოლოოდ, და 1832 წლის შეთქმულე-  
ბის დამარცხების შემდეგ, სისხლიდან დაცლილ-  
მა, აოხრებულმა ქვეყანამ მოქმედების ხაზი შე-  
სცვალა და თვის პოლიტიკურ, ეროვნულ ცხო-  
ვრებაში გარდატეხა მოახდინა. აქ გაითხარა სა-  
მარე, რომელშიც დიდი ხნით ჩაამარტა ამბოხე-  
ბის სული და იმედები ქართველი ერისა. დაი-  
წყო ახალი ხანა მის ისტორიაში.

წავიდა, განჭრა დიდებული წარსული. მხო-  
ლოდ რამოდენიმე მგოსანს ჩაარჩენოდა კიდე  
საღლაც სულის სიღრმეში სიყვარული წარსულ-  
ლისადმი, ვით შორეული მუსიკის მომხმობლავი  
მელოდია, როგორც ოდესლაც ვაგონილი, უც-  
ნაური ზღაპარი.

რუსეთი შეიჭრა საქართველოს ეროვნულ ორ-  
განიზმში, შეეხო მის თვითეულ უჯრედს და თი-  
თო წვეთი თავისი შესამისა ყოველ მათგანს ჩა-  
აწვეთა.

მან კარგად იცოდა, რომ ქართველი ერის სი-  
ძლიერე მის წარსულში იყო, საიდანაც მოსჩქე-  
ფდა ეზმრეტი წყარო ქართული მხნეობისა. ამი-  
ტომ დაიწყო დევნა ქართული ენისა, ქართული  
კულტურისა, ქართული ეკლესიისა და საზოგა-





დოდ ყოველივე ეროვნული გამოშვებებისა. საქართველო მოსწყდა თავის ისტორიას და, ბუნებრივი კალაპოტიდან ამოვადებული, გადაგვარების გზას ადგებოდა. მაგრამ სადაც, ეროვნულ სიღრმეში სიცოცხლის ძალა კიდე დარჩენილიყო და ამ ძალას საქართველოს უკვდავი სული დარავლობდა და ასაზრდოებდა. ჩვენი ერის თაურმდგენს მაგარი ფესვები აღმოჩნდა და უმწვავესი განსაცდელის ჟამს მხსნელად დიდი ილია მოგვავლინა. როგორც გრიგოლ რობაქიძე მოგვითხრობს, „საქართველო მაშინ ხერხემალ გატეხილი ეგონათ, ილიამ ეს ხერხემალი ისე მაგრად გამართა, რომ მას ვერავითარი წელკავი ვეღარ მოგრებდა“.

ქართული გენიის ძლევამოსილების განსახიერებას, ილიას, ამოუდგა გვერდში აკაკი წერეთელიც და ეს ორი სხივისანი ვარსკვლავი, ჩაუქრობელი შუქით ანთებულნი, რომელნიც ბრწყინვალე მარგალიტივით მოსჩანან გასული საუკუნის წყვილიდან, შეუდგენ ბურუსში გახვეული ჩვენი საზოგადოების გამოვლიძებას. გამოფხიზლდა ეროვნული სინილისი, განახლდა ქართული ენა, აღორძინდა ქართული ლიტერატურა და პოეზია. დაიწყო ეროვნული მოძრაობა. საზოგადო ასპარეზზე გამოვიდნენ სხვა ღირსეულნი შვილინიც. მათ მოიგონეს წინაპართა ანდერში, დროთა განმსვლლობაში მივიწყებული, გამართილეს ქართული ეროვნული სული და აცხოველეს სამშობლოსათვის ბრძოლის ტრადიცია.

ქართველი ერი იათივითცნობიერდა პოლიტიკურად და ეროვნულად, და როდესაც 1918 წელს, 26 მაისს მან დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ეროვნული შეგნება იმდენად ძლიერი იყო, რომ მთელმა ქრმა თვისი სუვერენობის აღდგენა უდიდესი სიხარულით და უსაზღვრო ენთუზიაზმით მიღო.

მაგრამ ხანმოკლე იყო ეს სიხარული. მალე თავს დაგვატყდა ისევე ჩრდილოეთის რისხვა. მიუხედავად დადებული ხელშეკრულებისა, რუსეთი დაეცა საქართველოს ომის გამოუცხადებლად და 1921 წლის თებერვალს, დაიპყრო იგი.

როგორც საუკუნე ნახევრის წინად, ისე ახლაც ვერ შეუტრიგდა ახლად მოვლინებულ მტერს ქართველი ერი და იარსლით მოისურვა მისი განდევნა.

ამბობდა სული ალექსანდრე ბატონიშვილისა, იელვა ხმალმა პატარა კახისა და გამოვიდა ბრძოლის ველზე ქართველი. ხალხი მთელი თავისი

ეისი ეროვნული მრისხანებით და თავგანწირვით.

ზღვად დადგრილი სისხლით კიდევ ერთხელ აღბეჭდა მან მისი ურყევი და გარდაუვალი ნებისყოფა.

უამრავი მსხვერპლის ივლების შემდეგ განადგურებულმა ერმა ბრძოლის მეთოდით კვლავ შესცვალა. დარჩენილი ძალონიე უმთავრესად კულტურულ დარგში გადაიტანა და ცდილობს დაიცვას თვისი შეობა და გარდმონაცემი ისტორიისა, ცდილობს არ შეილახოს ქართული სული და ტრადიცია, ე. ი. ყველაფერი ის, რაც საქართველოს საუკუნეთა განმავლობაში ინახავდა და მის დიდებას ქმნიდა.

მოუხმო თავის მძლე სულს და მოთმინებით იტანს მძიმე გვედრს, რათგან მან იცის, რომ მის უკან მთელი მისი ბრწყინვალე ისტორიაა, მომავლის იმედი.

და ამ იმედით ცოცხლობთ ჩვენც აქ, მისი შვილნი, სხვა და სხვა ქვეყნებში გაფანტულნი.

გეწამს, როგორც ეს განსვენებულმა ზურაბ ავალიშვილმა სთქვა: „აღსდგა ძველი საქართველო და ამიერიდან მისი მოსპობა ძალუქს მხოლოდ მის საკუთარ შვილთა სულმოკლეობას“.

კ. სალია

25 თებერვალი

(30 წლის თავზე)

შეღება ტაბახმელაჯ სისხლმა, როგორც  
კრწანისი,  
თებერვალმა დაასუსხა ნორჩი ვარდი  
მისის.  
დამიმსხვრია სკვითელმა, ჩემი კერპის  
წილი მზე,  
ჩონჩხი ცელით დაეშვა კოჯორიდან  
თბილისზე.  
გადასთიბა ბაღები, ნერვიც არ  
გაახარა,  
საბურთალოს გავიდა და იქ  
ვადისარხარა.  
უძებ... ვითვლი... არ შემოჩა, არასფერი  
არავინ...  
მხოლოდ — მამის ანდერში გმინვა  
გულშემწარავი.

მ. მეგობრიშვილი

25 თებერვალი 1951 წ.

U. S. A.





შ ა მ ს ა ხ უ მ რ ო ბ ი ს ა

(მოგონილი და ნამდვილი)

ტფილისი, 1922 წელი, აგვისტო. გურამიშვილის ქუჩა 10. სახლი ტერ-გუცასოვის, აგებული შეედღურ ყაიდაზე. ვზივარ შუშაბანდიან აივანის კუთხეში. აივანი იმხელაა, რომ ასს კაცს შეუძლია სუფრა გაეუმართო — თუ რასაკვირველია „ჯიბემ“ არ მიღალატა. დავსცქერ მღობიდან ტფილისს. გავსცქერი: ქალაქი, ვითარ ხომალდი, მიიღტვის უსაზღვროებისაკენ. მცტთან მივყვები. ხვატი აუტანელია, მაგრამ ვუსაყვედურო ამის გამო მზეს?! თითქმის ყოველი ჩემი სიტყვა საგალობელია მიმართ მისა და ეხლა წყევითა და კრულვით შევეცეხო მასა?! ეს ხომ უმადურობაც იქნებოდა! ფოთში რომ ვიყო, სხვა: იქ ოფლში გავიწურებოდი და შესაძლოა წამცდებოდა წყენის სიტყვაც. აქ კი მშრალი ჰაერა. ხმანელივით ვეროთვი ჩქურს. მომისმა: ვიდაც კარზე აკაკუნებს ოთახისა. წამოვდევ და გავეშურე. გავალე კარი.

„გრიგოლ-ბეგს გაუმარჯოს!“

„გაუმარჯოს ყაფლან-ალას!“

გავედით ოთახიდან. დავსხედით აივანზე. დილაა.

„როგორ ხარ?“ მეკითხება.

„ეწვივით! შენ! უგუნებოთ ხომ არა ხარ?“

„გუნებას ვილა ეძებს, ივეთო, სული მეხუთება!“

„რა დაგემართა?“

„შენ მტერს მისთანა: კიკო ბარდაველიძესთან შევიარე, ესაა; ერთი საქმე მაწუხებს, ვიხრვე რჩევა, და იცი რა მითხარა? მგ საქმეს უთუოთ „ჩეკას“ გადაცემენო! დევილუპე კაპალი კაცი! აბა მითხარი, ვინ გამოსულა იქიდან გამარჯვებული?“

„ვერ ავირჩევია ნამდვილი ჭა. კიკო, შეამჩნევდი, აგყიაა. თავის თავად ავი არაა, მხოლოდ ენა აქვს ავი. მხვალი მაგალითად ასეთ კაცთან და იუზნები, სურდო მჭირსო. გეტბნება: ეხლა-ვე ექიმი, თვარა შენი საქმე განწირულიაო. ვერ ჩემთან უნდა შემოგველო!“

„ამ საქმიზა როგორი შეგაწუხებდი!“

„რას მიქვია შეწუხება, როცა მამი ჩემის მეგობარს იხედავ უმცროსს?“

„ღმერთმა აცხონოს განსვენებული! რა ჩვილი კაცი იყო, რა ნათელი!“

„სურდო გჭირს ხომ?“

„სურდო კი არა, ანთებაა ნამდვილი!“

„რაშია საქმე?“

„სასანკეტო ფურცელში! ალბათ ეშმაკმა თუ გამეიგონა! სასანკეტო კი არა, საკვიმატო!“

„სიტყვა მოსწრებული ხარ, ყაფლან!“

„შენ ხუმრობ და მე ქე ვილუპები!“

„სანამ ეს ნიჭი არ დაგიკარგავს, დალუპავ ზორსა!“

„შენ პირს მაქარი!“

„პირს სხვა რამ ვაგემოთ! შევექცეთ სახმეს: ავერ სულგუნთი მაქეს, თუმცა არა შემწვარი. ხომ იცა, ეხლა სულგუნს შემწვარს მიირთმევენ! პირის გემო თუ დაეკარგათ! თუ ეს დაგეკარგა ქართულუმს, მენი მტერია, გადავშენდებით საბოლოოდ. სულგუნი, კაცო, შეუმწვარი უნდა მიიწთვა. უნდა აცალო ნელანელა ფურცელი — რომელი წიგნის ფურცლვა სჯობია მას! სულგუნს ტარხუნაც უნდა, ისიც მაქეს. სოფლიდან კარაქი მომტანეს. „მანობელაც“ — ხომ იცი ქართლის სქელი ნესტოიანი ლავაში, ლურჯი ქვირითის ფერი რომ ვადაპკრავს! „ნაფარეულიც“ თანმივაყოლოთ და ყოველი სატკივარი გაივლოს“.

გაეშალე სუფრა. ყველაფერი რიგზეა. შევექცევით.

„აბა, განაგრძე, ყაფლან!“

„მისი სახსენებელი დეიქვა, ვინც ეს ფურცელი პირველათ შექმელია! შენგან ხშირათ გამოიგონია, ვესწრები შენს ლექციებს, ლიტერატურაში დეტალი ყველაფერი. ჩვენებურათ მგონი წვრილმანი უნდა იყოს. გადევცი, შენიტირემე, სწავლუმებს: კაცობრიობის უბედურობა სასანკეტო ფურცელის გამოგონებიდან იწყება-თქო. „ვინ ხარ“, „სადური“, „რით ცხოვროფ“ — ვინ გკითხავს კაცო, ვინ ვარ, სადაური ვარ, რით გცხოვროფ! მე ვეკითხები შეენ? თუ გჭირს, ძმაო, ვაგიფენ სუფრას, მოუჯექი და ისიამუნე. თუ არა და დამესხენი! ვტკები ყოფით, ვიგემე მის ნაყოფს, ვლოცავ და ვადიდევ შემქნელს ყოველისა — ამ დროს მოდიხარ და მიჩურხურეფ და მიჩინინეფ: ვინ იყო ბაბუა შენიო, ბებია შენი, მამიდა შენი, მამიდა შენის მულო, ბიძი შენის ქვისლი, ამ ათი წლის წინათ კიკოლას სიკინვილაძესთან რა შეიარე, რაზე ლაბარაკობდი მასთანო, გუმინწინ იმ ქუჩის კუთხეში რო დააცხიქე, რა იყო ამის სოციალური საარჩული და სხვა და სხვა. შე მამაცხოვრებულო, ამის დახსოვნობას რი



გამოვეყოლოდი, მაშენ ველარკ ნაყოფს ვიგემებდი ამა სოფლისა და ყოფა სულ გამიმწარდებოდა! მერე კიდომ, შე კაი კაცო, ეს ჩემი თავისქალა ხარო ხომ არაა, ყველავერი ეს ხორბალივით ვაღამეშვა იქ და იქიდან ესლა შენთვის მარცვალმარცვალ საკენკავათ ვადმომეყარა! ვუხსნი ამას — შენც არ მომიკვტე: ის კიდე უფრო მიჩიჩინებს და მიჩუჩხურებს. დღე არ გავა, ის ფურცელი რომ არ მოვიდეს, საკვიმბატოა, მა რა ჯანდასა! საშველი აღარ არის!”

„მესმის შენი ტანჯვა, ყავლან!“

„ამას წინათ კიდომ მომივიდა ის წყეული ქალღი. ესლა მეკითხებოდენ: როდის ვადეცვალია ბებია შენო. რა ვიცი, შენიჭირიმე, როდის ვაემგზავრა იმ სოფელს ცხონებულო! ავიღე კალამი და ჩავაწერე: არ მასხოვს-მეთქი. ვაგებრუნე უკან ქალაღი. მესამე დღეს ქე არ დამიბრუნეს მინაწერიო! თუ არ ვახსოვს, ვამოიკითხე, აღმოაჩინეო! დავტრიალდი კაცი: ამას ვკითხე, იმას ვკითხე, ნათესავსა და ნაცნობს — არავინ იცის. ერთმა მითხრა, სამეტრიკო წიგნებში იქნება აღნიშნულიო — ვინ შემოიტანა, ბეჩა, ეს უხამსი სიტყვა? მიორემ მიუმატა: ი წიგნებიც იქ იქნებაო ესლა, საიქოშიო, ბებია შენთან ერთათო. ვავთავდი კაცი. მერე გვეფიქრე: საფლავის ქვაზე იქნება - მეთქი დაწერილი, თუ როდის მიატოვა - მეთქი ბებია ჩემმა ეს სოფელი-მეთქი. გვემზადე ჩხარში წასასვლელათ — უცხათ ქე არ გამახსენდა! იმ ქვაზე მამა შენმა ამოჭრა წარწერა და — აღარ ვავემგზავრე!“

„ყავლან, ნოველლისტს შეუძლია ისწავლოს შენგან მოყოლის დაძაბვა!“

„ავიხსნი, რათ აღარ წავედი. მამა შენი, ცხონებულო ტიტე, ჩემი დაუფიწყარი უფროსი მეგობარი, უცნაური კაცი იყო. ჭედელი არ იყო, მარა მისავით დანას ვერც ერთი ჭედელი ვერ გამოიყვანდა. არც ხურო იყო, ხოლო ვინ გამოაკობიტებდა ურმის თვალს როგორც ის?! წერალი არ ყოფილა, მარა უნდა წიგეკითხა „არცა“ მისი დაწერილი — რამდონი დოუწერია ჩენი სოფლელებისათვის! მერე რა „ხელი“ ქონდა — გეგონებოდა „ლურსმურის“ ამომხარატებელიაო. სებისკვერის ბეჭედს, სიმონეთიდან არგვეთამდე, ის აკეთებდა. აკინძვა არისად უსწავლია და თელ იმ არემარქემი საეკლესიო წიგნებს ის კინძავდა. ხელსაწყოც თვითონ ვემეგონა, მავალითათ „ჯევიში“, აკინძული წიგნის თანაბარ მთოლელი დანა, ორპირიანი სპსლავის მავარი — არ ვიცი, ეს სიტყვა „ჯევიში“ სად გამონახა.

გასაოცარი ნიჭი ქონდა. საშვალო სასწავლებელიც არ გოუვლია — იცოდა მხოლოთ საღვთო წერილი, თორე ისე დიაკონად ვინ აკურთხებდა. იმას რო ვანათლება მიეღო, ან შესანიშნავი წერალი გამოვიდოდა, ან და დიდი მოქანდაკე!“

„უფრო კი მცორო!“

„შენ ამას უნობ როგორც წერალი, არაა?!“

ყავლანი ილიმება.

„არა, ყავლან! მისი ნიჭი იქ იყო, საცა მისი ხელი ნივთიერს ენებოდა.“

„ესლა უნდა მოგახსენო ერთი რამ კიდომ უფრო საოცარი. ცხონებულო, რამეს რომ სკეთებდა, ხშირათ, ბილოში, საკეთს უეცრათ მიატოვებდა და არას ვზით მას აღარ უბრუნდებოდა. ეგებ შენც შეგიმჩნევია ეს?“

„ერთს მაგალითს მოგიტხრობ. ზის ერთხელ კუთხეში: სებისკვერის, „სერობის კვერის“, ბეჭედს აკეთებს. ბზის ნაკვეთი — ზომ იცი, რა ფერი აქვს: კვერცხის გულის ფერი — მზად აქვს. უნდა ანოახარატოს რვა ასო მთავრული ხუცური: „ი. ი.“, „ქ. ი.“, „ძ. ლ.“, „ვ. ა.“: ესე იგი „ისესო ქრისტე ძლევა“. უნდა გამოჭრას უკუღმა, რომ კვერზე წაღმა აღბეჭდონ ასოები. მოათავა ექვსი, დაურჩა „ვ. ა.“. უეცრად, თითქო რაღაც უცნაურმა წამოუარათ, ბეჭედს ხელითგან ავდებს. მოდის დამკვეთი. ხელოვასი, ერთი მანეთი, უკვე ვადახდილი აქვს. ცხონებულო ეუბნება: დღეისწორს შემოიარეო. ამ „დღეისწორს“, სულ უკანასკნელი, ათი „დღეისწორი“ მოჰყვა.“

„რით ხსნი შენ ამას?“

„წარმოისახე: რაღაცას აკეთებ, გსურს ყოველსრული ჰქმნა საკეთი; უეცრად წარმავლობამ ვიღვება ამა სოფლისა: სეგდა გიპრობს მძაფრი; სეგდა ფიქრად იზოება მყისვე, რომ წარმავლობში „სრულს“ ვერ მიადწევ: საკეთს ხელს უშვებ, აღარ თუ ველარ „სრულებ.“ სხვაგვარად ეს „წამოვლა“ ვერ ამიხსნია. სხვათა შორის, ასევე ემართებოდა ერთს უდიდესს ხელოვანს, რომელსაც მამა ჩემი ხასიათითაც წაავადა — ეს შემდეგ ვავიგე. იმ ხელოვანს მიქელ ანჯელიო ერქვა.“

„საკვირველია! კარგია, რომ დავხსომებია ი ბეჭდის ამბავი. ი ქვაზე წერის დროს, ბებია ჩემის საფლავის ქვაზე წერისას, სწორეთ მავ მოუვიდა. „დაიბადა ამა და ამ დროს, ვარდიცვალა — „ჩე“ და ვათავდა. შემდეგ რამდონი ენვეწეთ: მიუმატე, შე კაი კაცო, იმ „ჩე“-ს ორი თუ სამი ასო! შენც არ მომიკვტე, არ იქნა და





არა. ისე კი ყოველთვის გვებრძობოდა: „დღეის-წორსო.“ ი ბეჭდის „დღეისწორი“, როგორც მომიყვები, თვეობით გამეთორჯბულა; საფლავის ქვის „დღეისწორი“ კი წლობით მეთორღებოდა. ამასობაში ბებიაც დაგვაძვიწყდა, შენიჭირიმე, მისი საფლავიც, ის „ჩყ“ ვილას ახსოვდა! დარჩა ისე ი შეჩვენებული „ჩყ“ დაუთავებელი. აი, რა გამახსენდა მაშინ! ჩხარში წასვლა ზედმეტი იყო!“

„მაშ, რა ჰქენ?“

„ეხლა ჩვენი ჯიბო იაშვილის; კაი „ყახახია“, შვილი გამახსენდა.“

„პაოლოო?“

„დიხ! ერთი მითხარე, შენიჭირიმე, რათ დერქვა ე სახელი. „პავლე“ ადვილ არ ქონდა, იმაზე უკეთესი?!“

„ეს ქალაღებში იწერა, ისე კი „პავლეშას“ ეძახდნენ. რაა „პავლეშა“ და მერე პოეტისათვის?! აილო და დაირქვა „პაოლო.“ ნუ დავაძვიწყდება, ყაფლან, ჩვენ, ქართველებს, რჩეულობა გვიყვარს, თავისგამოჩენა. ხომ გახსოვს, რა ქნეს მერკვილაძეებმა?“

„რავა არ მახსოვს! აზნაურობის საშოვით არც მისი ძიებასა საჭირო და არც ამორღიათ. სანამ მოძებნიდე; „იჩუჩათ“ დარჩებო, „მადიებელსათაო.“ მოიყარეს თავი ერთ დღეს და დაადგინეს: ელწყოს ყველასათ, რომ დღეიდან ჩვენ აზნაუშვილები ვართო; ჩვენი წინაპარი ვილაც „მერკვილა“ კი არა, ვინმე „მერკვილი“ იყოო; ამერიიდან გვიხმობდეთ „მერკვილაძეებს“ კი არაო, არამედ „მერკვილიძეებსაო.“ იმ დღესვე დაიწყეს თურმე აზნაუშვილივით მისალმება: „როგორ ბრძანდებით, ბატონო სილბისტრო.“ (გუშინ „სიპიტო“) — „არა მიშავს რა, თქვენი წყალობა ნუ მომაკლოს უფალმა, ბატონო ბესარიონ“ (გუშინ „ბესარია“). ღმერთ წინაშე, უჭირდათ აზნაუშვილური კილო. ის რა ცოდნოდით დალოცვილებს, რომ სულ ახლო ხანაში, შემდგომ, „დადუშქელიანი“ და „ჭინჭრაქაძე“ გატოლდებოდენ, ჭაპანწყვეტას მიატოვებდენ!“

ყაფლან ქვეშქვეშ ილიმება, მე ვიციანი.

„და მაინც, ჩემო ყაფლან, ქართველი კაცი რჩეულობას ვერ შეეღევა. მეთრე მხრით და სწორეთ ამის იამო: შავ დღეს დაგაყენებს, თუ რაიმე ნაკლი ან მანკი შეგამჩნია. წარმოისახე, კრებას დიდო გამართული. თავმჯდომარე: „სიტყვა იკუთვნის ჭაჭუა ქვემოკლიძეს!“ „ვინ“ „ქვემოკლიძეში“ მესიტყვეს უკვე ამოუგდია, ერთქვათ, „ვინცობისათვის“ —

ხოლო ამას ვინ დავიდევს! ნაძლევეს ვდებ, თუ იმ წამსვე დარბაზში ხმა არ გაისმას: „ალბათ ზემოთ თუა გრძელი!“ სიცილი და ხარხარე. კიდევ კარგი თუ შემძახებელმა უფრო მეტი „სახარხარო“ ხანით არ შეაბრუნა გვარი საბრალოსი! ხომ გათავდა კაცი!

ყაფლანი ხითხითს აფრქვევს.

„ეხლავ ისევ პაოლოს დავებრუნდეთ — როგორ იყო?“

„ჰო და საშველი აღარ ჩანდა. ცხონებულ მამა შენს, ჩემს უფროსსა და საყვარელ მებობარს, ი საფლავის ქვაზე რაღაც ორიოდუ ასო რომ წამატებია კილომ, უბედურობას თავს დავაწვედი. გვიფიქრე ერთი: ოდესღაც საფლავის ქვაზე „ჩყ“ — სათვის ვინმეს აღარ მიუმატებია ორიოდუ ასო — და ნახევარი საუკუნის შემდეგ თუ მეტი არა სწორეთ ამის გამოისობით ვილაცას უბედურობა ატყდება თავს. აი ბედის წერა!“

„ძნელი მოსანახავია უმჯობესი მსგალოთი ბედისწერისათვის!

„ჰო და პაოლო მომაგონდა მაშინ. თურმე იმასაც არ მოაძულეს თავი საანკეტო ფურცლებით! ჩემგან თუ უნდოდათ შეეტყუოთ, როდის ვადეიცვალა ბეზია ჩემი, იმისგან სურდათ თურმე ვაეგოთ, რით ცხოვროფსო. არ მოეშვენ თურმე. ამდონ ხანს ვერ გვიგეს მამაცხონებულებმა, თუ რით ცხოვროფს? კაცი დადის, შენიჭირიმე, არხენიათ, შეგზვდება — სიხალისეს მოგაფრქვევს, ვადავეხსნება ვულოთ როგორც წყაროს თვალი, თუ კვიმატი დღე გაქ — საბედნიეროთ მოგიბრუნებს, შაირს ვეტყვის მისთანას, რომ სმენას დაგიტკობს, ელენე დარიანის სახელით, თუმცა მალავს ამას, ისეთი შაირს თან მიიყოლებს კილომ, რომ ცვედანაც ახალისდება ტრფიალისათვის. დადის ასე არხენიათ, შენიჭირიმე, დღეს ამას იწვევა, ხვალ იმას, ერთსაც უხარია და მიორესაც. ფული დაჭირდება — ვინმეს ხელი ამას ისე გაილებს, რომ ვიბეც ვერ ვაიგებს. აი რით ცხოვროფს! არაო, ეს შრომა კი არა, შრომა „ოფლითა შენითაო“. კი, მარა ეს „ოფლი“ ხომ წყვესა და არა ნეტარება! თუ მოახერხე, ძამია, ცუდლუტობით კი არა, უოფლო ცხოვრება, ამას რა ჯობია, ვენაცვალე! სამოთხე თუ გინდა, ესაა, კაცი! შენ კი გვიძახი: „ოფლითაო შენითაო!“ ვინ ვედავება მერე ამაში?! ღვარე ოფლი რამდენიც გინდა და ააჩსე საცა გინდა შენი სამოთხე, მხოლოთ ერთი პირობით: აქეთვე კი არა ვამოღწევა მყარო ოფლი შემხმარი. არა, იმ სამოთხეში შენც უნდა ვამომყვეო! არ მინდა კაცი, ვეუბნები, ვუხსნი,



ვეფერი — შენც არ მომიკვტე, ის ღვლერქს იღებს და ყელზე მახვევს. ეს რაა-მეთქი, ვყვირო. უნდა ღვლერქით მისინც წაგათრიო ჩემ სამოთხე-ში, მინდა, დაღუპული კაცი გაცხონოვო! იეგებ ცხონებული ვარ უკვე, ძამია! შენც არ მამიკვტე — ღვლერქი იწროვდება.“

სიცილს ძლივას ვიკავებ.

„სიტყვამ წამძლია. არ მოეშვენ თურმე პაო-ლოს: რით ცხოვროვ, რა საშვალეებითო? რო აღ-არ იქნა საშველი, მაშინ ეილო თურმე კალამი, ვენაცვალე მას,,მეჩერდა ერთი და მისებურათ ჩა-აკვარახტინა საკვიმატოში: „**ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ ჯ ი ბ ო ს ჯ ი ბ ი თ.**“ შენც გეხსო-მება ალბათ!“

„ვის არ ახსოვს? სიცილით დავიხსოვებ. სან-კეტო უწყებაშიაც ბევრი ეცინათ. მოეშვენ კი-დეც!“

„მომაგონდა ეს ამბავი უბედურობის თავდა-ტეხისას და ვეფიფიქრე: ყაფლან ჩემო, ეგებ ასე-თმა ხუმრობამ შენც გიშველოს-მეთქი. ცოტა გა-დაკრულიც ვიყავი. ევიღე კალამი ხელში და იმ ალაგას, საცა უწყრა, აღმოაჩინე ბებია შენის მი-ცვალეების „დატაო“, ჩავწერე დიდი ასოებით: „**ამას ვინ აღმოაჩენს? მიმართეთ ბებია ჩემს.**“

(სიცილი ხითხითში გადამიდის)

„გეცინება კაცოო?“

„პოტი გამხდარხარ, ყაფლან!“

„ხარი ხართან დაბიო — ხომ იცი, რას ამბობს ანდაზა! ამდონი ხანია, პოვეტების წრეში დავტ-რისილოვ და რა საკვირია, თუ თქვენმა მთხებმა ჩემთვის ერთი პოვეტური სტრიქონი გაიმეტეს! მარა ვაი ამ „მეტს!“

„კარგად შეგიხმინებია: „აჩენს“ - „აჩემს.“

„ეგ რაა, გენაცვალე, იმასთან შედარებით! შე-ხმიანება ეს მითხარი: „**ჯერ - ჯერ**“, „**ჯიბ-ჯიბ**“, „**იბით - იბით.**“ ჯადოქარია ი კურთხე-ული!“

„მერე?“

„მერე და: ჩემი უბედურობაც ესაა!“

„ესე იგი: შენი სატკივარი.“

„შენ კილომ გეცინება! ჩოუკვირდი, კაცო, რას იტუნება პაოლო შემკითხველით ბოლოს და ბო-ლოს! „პოკამესტ“ მამი ჩემის საშვალეებით ვცხოვროვო, ეუნება პოვეტური ხუმრობით. მე კი, დოუკვიდრი ამას — —“

„შენ პოვეტური ხუმრობით ეუბნები: გაეჭანეთ საიჭიოს ბებია ჩემის გამოსაკითხვადო, არაა?!“

„ეგაა, კაცო, ახლა წარმოიდგინე: მართლაც ვადოუგზანენს „ჩეკას“ ი ფურცელი! აღებენ

და მიაწერენ რეზოლიუციას: ჩვენ არ გეცალია —თვითონ გაეხზავროსო! „ჩეკამ“ ხუმრობა არ იცის და: გამამგზავრებენ იმ სოფელს!“

„ხომ ვითხარი, შენი სატკივარი სუდრო იქნე-ბა-მეთქი! „ჩეკას“, მითხარი, ვინ ვადოუგზანის ასეთ რამეს? თუ აღმოჩნდა ასეთი, თვითონ მას უტირებენ ყოფას: შენ მოცლილი ყოფილხარო! იმ უწყებაში კი შენი „სურდო“ ადვილი მოსაჩ-ჩენია — ჯავრი ნუ გაქვს!“

„რას მტუნები, შენიჭირიმიე?“

„მე თვითონ გამოვასწორებ ხუმრობასს!“

„რაფრათ, შენიჭირიმიე?“

„ხეალვე შევიარ იქ. ჯერ სხვა რამეზე ვაგაბამ საუბარს. მერე შენს „სურდოსაც“ შევაპარებ ხუმრობით. ვეტყვი: კაცი რომ სიბერეში — შენ, ყაფლან, ჯერ კიდევ ძველი მუნა ხარ, „სიბერე“ სიტყვისათვის დამჭირდება —კაცი რომ სიბერეში ღვლერქობას დაიწყებს, პირ-ველ ყოველისა პიბერობას, ვადამეტებას, წამო-უგება-თქო. თუ ხან და ხან შექანებულიცაა, ესე იგი, „გადაკრულიც“, მაშინ რას არ წამორო-შავს-თქო?! თანვე პაოლოს თქმას ვადახსენებ — ვახსენებენ ხითხითით. მერე მივყავი: ყაფ-ლანმა წაბაძა-თქო, და, ხომ ხედავთ, ბაძვას სა-ნამდე მიჰყავს მბაძველი-თქო, და ასე: ხუმრობა-ში განიკურნების შენი „სურდო.“ დარდი ნუ გაქვს, ყაფლან!“

„ქი არ დეგებადე ხელმიორეთ!“

„მეტე აღარ იფიქრო ამხნე, ერთი წუთიც კი!“

„შენ კი ვენაცვალოს ყაფლანი!“

ამასობაში სადილობსამაც მოატანა. ყაფლანს როგორ ვაფუშვებდი?! ახლა ღვინო შესაზარხო-შებლათაც მოგვევლინა.

„ვეე, რა დღეობას ვაფუშართავ ჩემს მაროს მარისამობას! ერთი კვირა-ლა დაგვრჩა კილომ. შენც ხომ დამიმშვენებ სუფრას, ა!“

„ცხრა მთას იქით რომ ვიყო, ვადმოვფრინ-დები!“

„ლხინს მხეთ ვაფუშენ!“

„სტუმრები?“

(ჩამომითვალა: ეს—ის)

„თომა ჭირაძე?“

„ჭირს წაუღია მისი თავი და ტანი!“

„რა დაგიშავა?“

„რა დამიშავა? დღეობა დამიშავა ჩემი მარო-სი შარშან — შენ სამწუხაროდ არ გეცალა. ვავნალო, შენიჭირიმიე, სუფრა. რა არ იყო, სუ-





ლო და გულო! სულგუენი ტარხუნით, „მოითალო“, ჭყინტი ყველი, პიტნით გადაზხელილი, ჩემი ბატონი შენ ხარ, კუბატები, „აფხაზურას“ რო ვეძახით, გენაცვალე, საწებელი“, მოხარშული დედლები, ინდოურის „საცივი“, ხომ იცი, როგორ ამზადებს ჩემი სიდონია, ბეჭი ტყემლით და იმბალოთი, გენაცვალოს ჩემი თავი, ღვინო ყოველნაირი, აქ „საერო“, იქ „ნაფარული“, „წინანდალი“ რამდენიც გინდა — რა გინდა სულო და გულო! ჭიქა, ყანწი, აზარფეში. მოუგეჭი და ილხინე! გეინხარე და გაახარე, არა: გაახარე და გეინხარე!“

„ბრძენს ვისმენ!“

„კაი, შე კაცო! ნუ ხუმრობ!“

„არ გეხუმრები, ყაფლან! ამდენი ხანია ჩაყირავებული ვარ ფილოსოფიაში — ასეთი სიბრძნე სიტკიცხლისა ჯერ არ მსმენია. ყოფის სიტკებო აქაა. „გაახარე და გაინხარე“ — აი მისი უტკბილესი წვეთი. აირ გვანებხარ არუთინას!“

„ვიის კაცო? ი ბრუცოლიისა?“

„არა, ის არუთინა მოიგავებულია, თუმცა ისიც ცალთვალა ყოფილა.“

„რამ გაგახსენა?“

„შენმა სიბრძნემ. ქრთხელ თურმე ღმერთი ეწვია არუთინას, თუმცა მისი სუფრა, გაშლილი კი არა, ლანდიდაც არავის მოჩვენებისა. ეუბნება უზენაესი: „არუთინ ჩემო, დათვლილია დღენი შენნი საყოფელსა ამა სოფლისა; მებრალეები, მაგრამ რა ექნა: ასე სწერია წიგნსა შინა სიტკიცხლისა.“ არუთინ: „რა ყრია ამ სოფელში?“ ღმერთი: „მინც! ქართველთაგან ხომ მინც გაგიგონია ეს სიტყვა!“ არუთინ: „რაც გენებოს, ის ჰქენი!“ ღმერთი: „ქრთხელ მინც ვაიღიმე, კაცო! რაღაც ათიოდე დღე დაგრჩენია კიდევ და მსურს: ამ მოკლე ხანში მინც იგემო სიხარული.“ არუთინ: „რა სიხარული?“ ღმერთი: „რასაც მოისურვებ, აგისრულდებ.“ არუთინ, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ: „ი მესომიელს ხომ იცნობ ჩემსა?“ ღმერთი: „გეურქასა? რავა არ ვიცნობ, ორივე თვალით მზერს ზეცას; ალბათ ისა ვსურს, გეურქასავით მზერდე ზეცას!“ არუთინ: „ყოველთამხილველი ხარ და აქამდე ვერ ჩაწვდი ჩემ გულნადებეს?!“ ღმერთი: „ეპ, ღმერთი რომ კაცს უხსლოვდებ, ჰკარგავს იმ ნიჭს — აბრუნდა თუ მოუვიდა მის შემქნაში; თქვი რა ვსურს!“ არუთინ: „გეურქასაც ვხედავდე ცალთვალა იყოს, ამ ათიოდე დღის მანძილზე მინც!“ ასე მოგვითხრობს ანეკდოტი.“

„უბადლო ყოფილა ი შეჩვენებული! აუსრულა თუ არა ღმერთმა სურვილი?“

„ანეკდოტი სდუმს შესახებ ამისა.“

„მე რო ღმერთის ალაგას ვყოფილიყავი, ი მიორე თვალსაც დავეფსებდი მას ი დარჩენილ დღეების გამავლობაში, რათა გინდა, კაცო, თვალი, თუ არ გინდა მისამე იხილო?“

„ვეშმარიტებსა! ეხლა დავუბრუნდეთ სუფრას შენსა.“

„ჰოო, იმას ვუნობდი! მოგუგეჭით, გენაცვალე, სუფრას, ოცდაათამდე ვიქნებოდით. თამადათ ევიჩიეთ ელიზბარჩი. შევექცევით, ვხალისოფთ; ის კი, თომსა, ჯის მოღუშული, თითქოს სატირალშისო. შეუკრავს წარბები ხარახუასავეთ, ცხვირი სტაფილოსავით ჩამოუშვია. გეგეჭიქრე მაშინავე: ჰე, ყაფლან, ეს უფუერი ღვინსა მოგვიშლავს - მეთქი. წამოდგა თამადა, თქვა მოკლე სიტყვა, კარქათ, ლახათიანთ — ავხალისდით. გადავხედე თომას: მოწრუპა ღვინო და ჭიქა ისე დადვა, თითქოს საწამლავი დეელიოს. ერთი ქე გელიმა, მარა ღიმილი იმ წამსვე ღრეჭად ვადექცა. ბუდას კერპს ვადვა. სიტყვამ შეიტანა და ამისხენი, შენიჭიჩიხე, სწავლული კაცი ხარ: ესაა, კაცო, ღვთაების სახიერობა?! ვაპაპულა გომბეშოსავით, ტეხები ვადოჯჯვრადინებია, სახე დაუძაბავს, მაჭკიაო გეგონება — ჯის ასე, შენი ჭირიმე, უძრავათ და ილრიჭება! ამისხენი, გენაცვალე!“

„ამაზე სხვესაც ბევრს უფიქრიათ, ყაფლან, ხოლო საბოლოო სახსნა ჯერ ვერ ვამოუტანიათ. ჩემი პირადი აზრი კი ესაა. ვუყურებ ბუდას და თითქო ამას მანიშნებს: რასაც ხედავ საყოფელსა ამა სოფლისა, ეს ყველაფერი წარმაგალიათა, ქართულად რომ ვთქვათ, „მიქარვაო“, და დარდას ამისა რომ არ ვადპყევო, „მოქარულს“ ირონიით, დაცივით, უნდა შეხვდეთ, რათა ამა გზით სევდით დაჭრილი გული, ესეც ქართულადვე რომ ვთქვათ, „მოიქარვო.“

„რა დასკვნა გამოუტანია ი მამაცხონებულს აქაო და ეს სოფელი წარმაგალისო და ამის გამოიოსობით „მიქარვაო!“ ჩენი რუსთველიც ქე მეზნება ავერ: „ევა, სოფელი, რა შიგან ხარო“, მარა ის კი არ უთქვამს: ქარისგან ხარ მობერილი და ქარს ვაყევო! ან რათა უნდოდა, შენიჭირიმე, შემქნელს ქარმოტანილი და ქარგატანილი?! „მიქარვა“ კი არა, ქარგვა ეს სოფელი, გენაცვალე! შეხე აბა ამ მზეს! გულის „მოქარევა“ აქაა, თორემ ილრიჭე რამდენიც გინდა, ქარგას, ტყუილი ამბავია, ვერ იშოვი!“





„ქარცაა შენი სიტყვა, ყაფლან! მოდი ამ ქარ-  
ვას სხვა ქარვაც დავუმატოთ იხლა!“

ვაგეჟანე ქარადისაკენ. ერთი ბოთლი „ცო-  
ლიკოური“ იყო კიდევ.

„აი მეორე ქარვა, ყაფლან!“

შეესვით მადიანად.

„ჰო, იმას ვუნობდი: ჯის, კაცო, აგერ და მუ-  
დოსავით ივლარკება და იღრიკება.“

„ეგებ გვერდით ლამაზი ქალი არ უჯდა!“

„ხათუნა უჯდა, გერსამიას ვოვო! იცნობ ალ-  
ბათ: მაღალი, ტანშვართა, შენი სიტყვა რა ივი-  
ხმარო, თმა — შენდის ფერი, კანი — ხორბლის  
ფერი. თუ დაკვირვებინარ, ასეთი ქალი ჩვენში  
სამეგრელოდან მოდის. ვიჯვის გვერდით ასეთი  
ტურფა — რა სიტყვას არ ნახულობს ენა, კი-  
დეც ვიკვირს. სულ სხვაა, ჯოჯო ჩო ვიჯდეს —  
მეიცა, მეიცა: „ჯოჯოხეთი“ „ჯოჯოსაგან“ ხომ  
არაა!“

„ფილოლოგიც ყოფილხარ, ყაფლან! ეგრეს!“

„ვენაცვალე ქართულს, ასე პირწავარდნილათ  
რო გემეიყვანს ყველაფერს! ჰო, უჯის კაცო,  
ასეთი ტურფა გვერდით და ენა პირში ჩავარდ-  
ნის!“

„ხანდახან ეს, ყაფლან, ზედმეტი მორცხვობით  
ემართება კაცს.“

„ეგ მართალია იმ შემთხვევაში, თუ ქალი  
კუშტია.“

„აქაც რა მცოდნე ხარ!“

„ხათუნა კი კუშტი კი არა, მზის სხივების  
ცქრილია! არ გაჭრა, კაცო, ვიმიორებ, ამ ცქრი-  
ალმა.“

„სიმღერამ?“

„მოვიყვები! აბა დანიელ - მეთქი, შეეძახე. გე-  
გეგონება, ვის არ გეუგონია: „დანიელა ურისო  
ჩვენში რამ გაურიაო.“ აბა დანიელ - მეთქი, შე-  
მოსძახე „ცედური“ შენებურათ - მეთქი. შემოს-  
ძახა მარა რა შემოსძახა! რა ხმა აქვს, კაცო, ამ  
ნამღევთა კაცს: გეგონება კაჟისაგანაო! დასჭექა  
მარა რა დასჭექა! სხეებიც ვაჰყვენ. ჰე, ყაფლან,  
გეგველა - მეთქი. რო მივიდა იქნა, საცა ჩა-  
არაყვავებს ხოლმე — კულა რაა მასთან — ქე  
არ ჩოუწყდა ხმა! დატრიალდა, თითქო სათო-  
ფეთ ემზადებო, შეიფერთხა ჩოხის კალთე-  
ბი, ხომ იცი, კოჭებამდი წვდება — ეს ერთი  
თვალის დანახვამებში მოხდა — მოვიდა ისე  
ხმაზე, ჩაკრილა, მარა ის აღარ იყო, კინკრახო-  
ში რო დავკრავს და ტერფებში ვავივლის. ეს კი,  
თომა, იღრიკება აგერ!“

„პოეტები არი გყავდა, რომ ეშველათ?“

„უიმათოთ სუფრას როვა გავშლიდი! წამო-  
დგა ერთი, დაიწყო ჩინებულათ ლექსი, ვაგ-  
ძელა და უცბათ შეჩერდა. „შენი რჯული, ქე არ  
დამავწყდაო,“ ჩაიბურღუნა და დაეშვა. იმას  
მიორე მიჰყვა. ეს სუფრო მარჯვე გამოდგა, მარა  
შესაუღწმი წებიორძიკა, მოგონებით ქე მოიგო-  
ნა და დაამთავრა, მარა ბორძიკმა შთაბეჭდილე-  
ბა შელახა. მერე ქე უთხარო მე: ვრავოლისაგან  
უნდა გვესწავლა - მეთქი ერთი ხერხი - მეთქი. რა  
ხერხიო, მკითხა. იმასაც მოუხთა ერთხელ თეატ-  
რში ბორძიკი - მეთქი, მარა კი აღარ ვაუგრძე-  
ლებია - მეთქი მაირი. აბა მიატოვაო? არა -  
მეთქი, თავიდან დეიწყო - მეთქი.“

„რეტორიც ყოფილხარ, ყაფლან!“

„მაცა, შენიჭირიმე! ახლა მესამე წამო-  
დგა. ეს აქეთ უჯდა ხათუნას. ალბათ ხათუ-  
ნამ შეახურა. ოუშვა ხმა მარა რა ოუშვა! ვარ-  
დაქეშანი გეგონებოდა ე ტანმორჩილი კაცი. ეხ-  
ლა კი ვაგვეთი - მეთქი კაცი, გევიფიქრე. ლე-  
ქსი ყველამ ვიცოდით — ბევრჯერ ვესმენია. შე-  
სძახის პოვეტი სატრფოს, შეჰყვეს პირდაპირ —  
რა ხოტხას არ ასხამს?! ბოლოში თვალმესაც  
უხატავს. ლექსი ასე თავდება: „ერთხელ კიდევ  
— მომავლე — მის რკალი.“ ალბათ თვალმის  
რკალი იგულისხმება, ამას შენ უფრო მიხვთე-  
ბი. ოუშვა და ოუშვა ხმა. ბოლოს, ესაა, ერთი  
ძოჭნევით უნდა ჩაბეჭდოს თელი ეს ავიზგიზებულ-  
ლი ტრფიალიო, გვესმის: „ერთხელ კიდევ მო-  
მავლე ბარკალი!“ ავარდა ხითხითი წარმოუდგე-  
ნელი. ვიფიქრე: ხათუნამ თუ წაკრა ბარკალი -  
მეთქი: ხომ იცი, ხუნთრუშა და ხვითქინა! ვიხო-  
ცებით სიცილით. სიცილი თვითან პოვეტსაც გა-  
დაედო — ქარხალივით შეწითლებულიყო კი. ამ  
ღროს ხმა გვისმა უეცრათ: „ბარკალი, ფილო-  
ჯან, აგერ ვიცდისო, ინდოურისო!“ ახლა კი ვიხ-  
რჩებთ ხითხით. ის ურჯულე კი, თომა, იღ-  
რინჯება მხოლოთ!“

„სუფრა ახალისებულა, ყაფლან! შენ კი —“

„ახალისებით ქე ახალისდა, მარა დოუგვირდი  
ამას: ხუმრობა მასხრობაში ვადევიდა და სუფრა  
ვამიმასხარავდა. სულ იმის ბრალი იყო, ი წყე-  
ულის, ფეხი უნდა ქონდეს კული. სწავლულებს  
ეს ცრემორწმუნოება გგონიათ! ცდებით!“

„სადღეგრძელოვები?“

„სადღინძელოებს მეტი ბედი ეწვიათ. არცაა  
გასაკვირი — აქ წინასწარ გაწყობილი სიტყვას-  
თან არა გაქ საქმე: დავავიწყდება რამე — სხვა  
რამეს ჩაურთავ, წაბორძიკევ — ჩაახველებ და  
მიაფუჩჩევ, წაგდება რამე უხამსი — სხვანაი-





რათ შევაბროუნეფ დო ასე!“

„კაცო, სად ისწავლე რეტორიული ხერხები?“

„ქართულ სუფრაზე ვისწავლე, თუმცა ეს გადამთივლი სიტყვა „რეტორიული“ არსათ გამიგონია.“

„მასასადამე, სადღეგრძელოვებმა გიწველეს!“

„ვერ უარყვოვ, თუმცა უნდა დავუქმტო: მადლი არ ქონდათ.“

„მაროს სადღეგრძელო მანც მადლიანი იქნებოდა!“

„ყველას მადლიანი ვიშოუვიდა, მარა ი ოჯახქონა ეს მადლიც არ გამინიავა! ადგა ყველაზე ბოლოს და თქვა: „აქაო ყველაფერი ითქვაო და მე არავფერი დამრჩენია სათქმელიო.“ შე შედროვო, ვეუენები გულში, ქართულ სუფრაზე სათქმელს რა დალევს - მეთქი! დეილლაქნა ძლოკვივით, ფენს რო წაკრავ, ჩეიციანა და ჩაჯდა. ვაგთავდე კაცი. ამას კილომ ერთი სტენა მოყვა, რამაც კილომ მოთმინებიდან გამომიყვანა. სვამენ ჩემს სადღინგძელოს. მესმის: ყაფლან „ეს“, ყაფლან „ის“. ხოტბა გულს მიფხანს. „იმანაც“ შესვა, მარა ისე ჩეიბურდლუნა რადაცა, რო ვერაფერი გევიგე. უცხათ პაუზა ჩამოეშვა, რომანებში რო იტყვიან. ვადავხედე თომას: ჰაერში იყურება და თოქოს თავის თავს ეჩურჩულება. ზომ არ ვაგიც - მეთქი? იღრინება და უნობს: „ეს სახელი „ყაფლან“ საიდანა?“ პაუზა. „ქართული არ უნდა იყოს, სპარსული თუა?“ პაუზა. „რუსული „კაპლან“ საიდანა?“ პაუზა. „იქ სახელი, აქ ყვერული, ჰმ, პაუზა. მე ზომ არ ვადმომკრა - მეთქი? ვაგმემდი კაცი. ყაფლან ორბელაძე და „კაპლანიო?“ მალე სამოცი წლის ვავხდებო, მარა ჯერ კილომ ძელქვა ვარ: იმისთანა თომაიებს ერთი შეტევით ოთხს მანც მივაგორებ ზედიზედ. ბრაზმა ამიყვანა, მარა, მადლობა უფალს, თავი შევიკავე, ამ დროს ერთმა ვადაუქნია თომას: „რათ ჩააცივდი ამ „კაპლანს“, კაპლანობის ზო არ გემინიაო?“ შეიორემ მიუმატა: „ჯავარი ნუ გაქ — ამ შიშისაგან კათ ხანია „დასტრასულია“ ალბათო!“ ზომ იცი, ქართველ კაცს უხიაგი სიტყვა არ ვამეცლევა. შეიქნა სიცილი. მეც ვამეცინა, მომეშვა ბრაზი. მეგონა, თომა წამოვადრებოდა შეტევისათვის. შენც არ მომიკვტე — იმანაც ჩეიციანა და ჩეიბუტბუტა: „არა, შე კაცო, მე „ის“ კი არ გევიფიქრო; მე მხოლოთ ფილოლოგიურათ ვაგუყენე ერთი სიტყვა მიორესაო.“ სიცილი ქე შეწყდა, მარა თელ სუფრას რაღაც უხამსი მოედო, თითქოს შლაშე გახთა ყველაფერი, შექცევაცა და გუნებაც.“

„მესმის!“

„ასე წამინთინა სუფრა ი ოხერმა. ზამთარი ყოფილიყო, იმას კი ვურგენებდი სეირს!“

„არ მესმის!“

„მათხვე ყური! ტ...ი აქ თურმე! შევაგდებდი ბუხარში ლეღვის ნელ შტოებს, ცეცხლი იხროლდებოდა, „ის“ საუტკივდებოდა — ზომ იცი, როგორ მოქმედობს „იმანე“ იმ შტოების ჩხოლვა —“

„ჰა, ჰა, ჰა, ჰა! ნუ დამხარჩევე, ყაფლან, სიცილით!“

„იკოცხლე, ის ვაბურბუსდებოდა და მიგვატოვებდა! ისე კი, როგორ ვამეგლო სტუმარი ქართველ კაცს! მარა ამ ვაგანია აგვისტოში ზამთარს რაფერი ვაგჩენდი, შენიჭირიმე?“

„ჰა, ჰა, ჰა, ჰა! მომკალი, კაცო!“

„ძალთაპირი თუა ი წყელი! შენ თქვი ერთხელ: ნამდვილ ლექსს ჯიში აქსო და თელ ლექსს აქ ჯიში, კაცს არ უნდა ქონდეს?! ეგებ ქართველი არც კია ი უბადო! დღეობა გამიფუქა. ცუდი ფენი აქ უთუოდ. ვადავხედე მაროს, ზო იცი, აყვაგებულია ატმის ყვავილივით! რას ვხედავ, ვეჟო! ქე არ დაკარგვია ატმისფერი! სწორეთ მაშინ გევიგე, ერთხელ რო უნობდი ლექსიანე: ი წყელი „მეფიშტო“, ალბათ ფიშტოს მკეთებელი —“

„მეფისტო, ყაფლან?“

„ჰო, ი მეფისტო — ეხლა ვამახსენდა: ცალი ფენით თხაფენს, ალბათ იმასაც „ცუდი ფენი“ ქონდა — ი მეფისტო, ი გოგონას რო შეეფეთებოდაო, სახელი აღარ მახსოვს —“

„გრეტხენ, ყაფლან!“

„ჰო, გრეტხენს რო შეეფეთებოდა, გოგონას ატმისფერი ეკარგებოდაო.“

„ატმოსფერო, ყაფლან!“

„რას მელნები, კაცო!?“

„ატმოსფერო, ყაფლან, ანუ „ჰავა“ ჩვენებუბურად. ვაგიმეორებ ჩემს მაშინდელ ნათქვამსაც. ის გოგონა, გრეტხენ, ეუბნება ერთხელ თავის მეტრფეს: ი მეფისტო რომ შემოიარს ჩვენთანაო, ასე მიჩვენება: თითქოს მე შენ აღარც მიყვარდო. ვასაგები — ყვავილი იხრდება, ქართველნი ვიტყვიო: „ხარობსა“; მოაცალე მას „გახარება“, ანუ „მზის თესლური ჰავა, მის ვარემო აღვივებული — ჭნობას დაიწყებს. სიყვარულიც ყვავილია. ის ეშმაკული, მეფისტო რო ქვია, თავის თანყოფითაც კი შლის, ხრწნის, ჰა-





„ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი“ \*)

(დასასრული \*)

„ისტორიანი და აზმანი“ დაწერილნი არიან ძველი სამწერლობო ენით. ავტორი სცდილობს მისდიოს ძველ ნორმებს. სხვადასხვად მას არც შეეძლო „ქების“ თვისების მეფეთა ისტორიული ბიოგრაფია დაეწერა პროზით. ამით განირჩევა „ისტორიათა და აზმათა“ ენა „ვ. ტ.“-ის თავისუფალი, ძველ ნორმათაგან არა - შებოჭვილი ენისაგან. მაგრამ თუ „ისტ. და აზმ.“ შინა ვგზედება მაგ. ძველი ბრძანებითი მესამე პირისათვის — 6: „სამართალი ღმრთისა იყავ - 6“; ან და „მცონი დაგდებდესა ღვაწლი („ღვაწლისა“ ნაცვლად) შითხრობად ომთა და მარჯვებულობათა“; ან კიდე „დადუმდეს“ („დადუმდეს“), და სხვ., რაის მსგავსსაც „ვ. ტ.“-ში ვერ ვხვდებით, იქვე ვგვხვდება: „ჩაიარეს“, „ჩავიდეს“, „ჩამოდეს“, ნაცვლად: შთაიარეს, შთავიდეს, შთაზოდეს. „ვეფხისტყაოსან“ - ში ისეთი პრეფერბით არის ზმნები ნახმარო ერთად - ერთი გამონაკლისით: „შთამოსთესი“ (II: 55.3), ხოლო „ისტ. და აზმ.“ შინა წინა - უკმო, ჩა - პრეფერბიანი ზმნებია გამონაკლისი; ჩვეულებრივ კი შთა - პრეფერბიანია ნახმარი. კიდე სხვა განსხვავებათა აღნიშნვა შეიძლება „ისტ. და აზმათა“ და „ვ. ტ.“-ის შორის ენის მხრით, მაგრამ, სამაგიეროდ, გარდა ზემოთ აღნიშნულ მსგავსს

აღგილთა, რაოდენი რამ არის იგივე და მსგავსი „ისტ. და აზმ.“ შინა და „ვ. ტ.“-ში ენის მხრითაც, რაიცა მიგვითითებს ორივე თხზულების ავტორობაზედ რუსთველისა. აი მაგალითები, — სიტყვები, ეპითეტები, ფორმები, გამოთქმანი: „მზე“, „მზეთა - მზე“, „მზე შნათობთა შორის“, „პირ - მზე“, „პირი მხისა“, „მეზახება“ (საბათა, ლაშქართა), „მზეცი“, „გულმზეცი“, „მზეც - ქმნილი“, „ჩხერება“ (აბჯარისა), „მარხერებელი“ (აბჯართა), „თამაშობა“, „სათამაშო“, „მახვილთა“ ან „ხრმალოთა ელვა“, „მფეთებლობანი ხრმალოთანი“, „სახე“, „უსახო სახე“, „უმსგავსო სახე“, „მესახე“, „ლომი ლომთა“, „გოლიათი“ ან „გოლიათი გოლიათთა“, „ნაკვთად ქარგი“, „ნარნარი“, „მოსაწევარი“, „ნათელი“ და „ნათელი ნათელთა“, „ნათელთა მფენელი“, „სამ - მნათობიერი“, „მვიდ - მნათობიერი“ („ვ. ტ.“ „ელვა შუქისა სამისა“, „ზვერდეს შვიდთავე მნათობთა“), რიცხვები „მვიდი“ და „რვა“: „ამან იანმზადებელმან სიბრძნისა შვიდთა სვეტთამან აღაშენა მათ ზედა ტახარი და სადგური მვიდთა მადლთა შვიდთავე სამპრობელოთა განმანათლებელმან, და შვიდ - გზის დღესა შინა მადიდებელმან ღმრთისმან შვიდ - წილ განწმედილ - ყენა სიტყვანი სახედ მობადისა და მეფისა, ვითარ იტყვის რომელსამე ესაია და რომელსამე დავით, და პატივის მცემელი შვიდ-

\*) დასაწყისი იხ. „ბ. ქ“-სა № 6, 7, 8.

ვას „განარებისა“: სუნთქვა მისი ქებაფივით ესხმის „გასახარელს.“ შიხვდიი?!”

„ერთბაშათ ივამინათე ყოველიფერი! რა სიბრძნე უთქვამს იმის მომკონს, შენიჭირიმე! სახელი მისი?“

„გოეტჰე! შენც იგივე სიბრძნე არ აცხადეე?!“

„კაი, თუ კაცი ხარ!“

„იმ განსხვავებით, რომ მისი მეფისტო ეშმაკი არა, ნამდვილი ეშმაკ, შენი თომკა კი მხოლოდ ის ყოფილა, რომელიც ქართულ ენას სამი ასოთი დაუდაღავს: ღჯუ!“

„გენაცვალე ქართულო, დადაღვაც რო იცი ასეთი!“

„აი, ი შენი ატმის ფერიც!“

„ჰა, ჰა, ჰა, ჰა!“

„იმედია, მარობას „ატმისფერი“ არ დაგვეკარება!“

„ღჯუ რო აღმოჩნდეს კიდომ ვინმე, ვინცოუბაა?!“

„დარდი ნუ ივაქეს! პაოლოს მიწერ დღესვე, საჯრილოდ წასული; ისიც დაგვესწრება, და, თომასთანა ღჯუს კი არა, „ობერი - ღჯუს“ მოარჯულებს!“

„მაშ, დღეისწორს! ცხონებული მამი შენს „დღეისწორი“ არ გეგონოს!“

„რავა გეკადრება! შენი სუფრა, ყაფლან, არც იმ ბეჭდის ურჩი „ვ. ა.“ არის და არც ის შეჩვევებული „ჩყ“ არაა?!“

„ჰა, ჰა, ჰა! მშვიდობით, გრიგოლ - ბეგ!“

„მშვიდობით, ყაფლან - აღა!“

გრიგოლ რობაქიძე

ქენევა 1949  
ივანობისთვე



თა უფროსს - ლა ნაწილს ჰყოფდა მძევლისა მისთ-  
ვის სიტყვისაებრ, სოლომონისსა, განმარტყინვე-  
ბელი არეთა შეიღთა და რეთა ერთად“; „ფი-  
ცი“ („ვ. ტ.“ „ძმად - ფიცი“), (სრული, ტურფა)  
„ანაგებთა“, „თვალი“ ან „ნათელი უღამო“,  
„მხე უღრუბლო“, „ჰაერი“, „ეთერი“, „მინ-  
დილი ცნობასა“ ან „ცნობათა“, „მომდევდრება“  
(გულისა), „სიახლე“ - სიახლოვე (ან. ქართ.  
„სიახლე“ „ახლოობას“ ნიშნავს), „დადაჩნება“  
ან „სადარნო“, „მიწურვა“ - მიწევა, „დაჯრი-  
ლობა“ ან „დაჯრილი“, „მიღმართ“, „ვეფხის  
ტყაოსანში“ „მიღმა“, „მუნდაღმა“, „ხედა-  
დაღმა“ ან „ხეიდაღმა“, „გარე შემოღალ-  
მა“, „ვამი“, „სით“, „ერთგან“, „მაშა“, „ხმა“  
(- სიტყვა); „თავისა მისისანი“ (ნაცვლად: „თა-  
ვისა თვისისანი“), — ხმარება „მისი“ -ს „თავისი“ -ს  
მაგიერად ხშირად, როგორც „ვ. ტ.“ -ში (შეად.  
აგრეთვე: „სიტყვა-მისვეობა“ სომეხთა), „დღესი-  
თგან“, „მზღვარი“ (ხშირად „საზღვრისა“ ნაცვ-  
ლად), „ხესთა-ხე“, „დღისი და ღამე“; — უნდო“  
(- არად სახმარი, ცუდი); „საჭირი“ (- ძნელი),  
„ამაყი და ლალი“, „სულის დაღება“; მიშეობა-  
ნი და მიმეობითნი სახელნი: „მედინი“ (- მიმ-  
დინარე), „დასადარი“, „მომსყიდავი“ (- მყიდვე-  
ლი), „მდევი“, „ნამორჩება“ (- მორჩად, შტოდ  
ქმნილ), „მბაძი“, „მძებარი“ (ზნა: „მძებარო-  
ბა“), „მახე“ (მახი) (მო - მან - ული, ფალესი-  
ლი), „მჭურნი“, „მომსმენარი“ და სხვ. ზნის  
ზედა: „ბრძნივ“ (- ბრძნად), „დღივ“ და სხვ.; ხმა-  
რება - უ. - ზ. - ჰ. პრეფიქსისა - ი - რეფლექსიუ-  
რის ნაცვლად: „მაშინ მომსმენართა მისთა  
უხმეს ერთი მკვიდრთაგანი ტვილისისა“ (მი-  
ცემითის „ერთსა“ მკვიდრთაგანსა“ ნაც-  
ვლად); „ისი“ -ს ხმარება „იგი“ -ს ნაცვ-  
ლად: „საჯდომი ისი“, „გარნა არცა ისი უღებ  
იქმნა“; ჯაჭვი სიტყვათა, რომელიც იბრუნე-  
ბის: „საზღვართა დამდეველისა - ზღვითა - ზღვა-  
მდინ - ისა“ (ვ. ტ.“ - ში ხშირად); არა - ჩვეუ-  
ლებრივი ხმარება პრეფერბის გა - ისა: „განახ-  
ნა (- განიხილნა) სპანი მისნი“; თავისუფალი  
წარმოება „თ“ - ისნი მრავლ. რიცხვისა ნაცვლ.  
სახ. ეს-ისაგან: „ესენი ეს - თა - მდე“ (შეად. ვ.  
ტ.“ „ას - ები“, „ეს - ები“ - ეს); ჯაჭვი: „ნათელ-  
ხე - ვანიანი“, აბჯარ - და - ცხენ - კეთილობა“,  
„ყელ - საბელ - მობმით“, „არა - მათგან - ნება -  
დართულობა“; გამოთქმანი: „მაშინდელი ზა-  
რი და ზემი ვისმანცა ენამან გამოთქვა“ („ვეფ-  
ხის ტყაოსანი“, ჩანართი: მაშინდელი ზარი  
აწმცა ვით ითქმოდა“); „მომბლისა სახედ სა-

ხედავი“, „ღმერთი სამებითა სრული“ (შეად. „ვ.  
ტ.“: „მზიარი სამისა“), „თავისა მიწა - ქმნითა  
თავგანს - მცემელი“, „აღვიარცოთ კართა - სა-  
ბელი შეჭირვებისა“ (შეად. „ვ. ტ.“: „სამძიმილთა  
ერთო დახამ, სიხარულის კარი აღი“), „დამთმო-  
ბელნი ცხოვრებისა და სიკვდილისა არა მრი-  
დენი თავისა“, „სიტყვით მოლობელი“, „სრვი-  
და და ისროლებოდა“ („ვ. ტ.“: „მიპნოცდეს და  
მიესროდეს“), „ნათლისა პირითა“, „წამრთვე-  
ლნი ღამისანი“ („ვ. ტ.“: „ღამე წამორთვით ეა-  
რა“), აღესებულნი კვალად აღავსნა“; არა - ს და  
ვერა - ს ხმარება უ - ც(ა) - ოდ: „არა დიდებუ-  
ლი, არა ახნაური, არა ვარკი“, „არა მეფე, არა  
მთავარი“; ვერ ხვარასნისა სულტანი, ვერ ერა-  
ყისა, და ვერა რომელი თემი (ხშირად „ვ. ტ.“ -  
ში), და სხვ. და სხვ.

ესე ყოველი დიად რუსთველურია, თვისებანი-  
მისი შეტყველებისა მიუხედავად იმისა, რომ  
ზოგიერთი რამ მათგანი სხვა თხზულებებშიც  
მოიპოვება, ხოლო ისე ხშირად არა, როგორც  
„ისტორიათა და აზმ.“ და „ვეფხის ტყაოსანში“.  
და როდესაც კაცი „ისტორიათა და აზმათა“ აღ-  
დგენილ ტექსტს მთლად წაიკითხავს, შეუძლე-  
ბელის მან არ იგონოს იგივე სული, რომელიც  
„ვ. ტ.“ - ში. ზემოთ უკვე მოვიხსენეთ, რომ  
ამირ - მირანის დარბაზობის აღწერა თამართან  
და სოსლან - დავითთან პ. ინგოროვას „ვ. ტ.“ -ს  
აგონებს, სამართლიანადაც, და ეს მიუხედავად  
იმისა, რომ ეს ადგილი სიტყვებითა და გამოთქ-  
მებითაც არა ჰგავს „ვეფხის ტყაოსანს“ რომე-  
ლიმე ადგილს იმ ზომით, რომლითაც „ისტ.“ და  
„აზმ.“ და „ვ. ტ.“ - ის ზემო აღნიშნული ადგილე-  
ბი ემსგავსება ერთმანერთს.

როგორც უკვე აღვნიშნე, „ქ. ც.“ - ის შემას-  
წორებელ და შემავსებელ კომისიას ვახტანგ-  
სა ბევრი რამ ვერ იყავთა გადამწერთაგან დამა-  
ხინჯებულ ტექსტში და გამოუტოვებია სიტყვე-  
ბი, მთელი ადგილებიც კი, ან და შეუცვლია  
ისე, როგორც იყავთა. მაგრამ არის „ქ. ც.“ - ის  
ტექსტში ისეთი ადგილებიც, — სიტყვანი, გამო-  
თქმანი და შედარებანი, რომელნიც განგებ შეც-  
ვლანი არიან ორგინალური ტექსტისა, რათა-  
ნაც ეს ადგილები, — სიტყვანი, გამოთქმანი და  
შედარებანი, — კომისიას არ მოსწონებია, ან და  
უმართებულად მიუჩნევია. ასე, მაგალითად: ვახ-  
ტანგის კომისიას მრავალგან აქვს შეცვლილი  
მიმეობა (რომელიც აგრეთვე „ვ. ტ.“ - ში მრავალ-  
გჯერ გვხვდება) დამთავრებულ წინადადე-  
ბად: ორგინალში სწერია: (გიორგი მეფე) „მნა-



დირებელი და მომდანიარებელი მათათა და ბარათა მოვლიდა ვითარცა იონათანს მშვილდ - კაპარჭოსანთ, ვითარცა ჩუბინ უცდენდელად მსროლელი, მეყის სისაწრაფითა მიმტევი მხეცეთა ზედა, არტემისა სახელ, ... რომელ არს ღმერთი მონადირე“. „ქართლის ცხოვ.“ - ში კი სწერია: „განისვენებდეს და ნადირობდეს მათათა და ბართა, და მოვლიდის და მონადირისა, რომლისა მოისრობასა ვერა რომელი სახელ - განთქმული მოისარი, პირველი ანუ მის ქამისა ესწორებოდის“. დანარჩენი კი გამოტოვებულია, რათა განაცდამახინჯებული ტექსტი ვერ აღუდგენიათ („არტემისა“ „არტემისის“ მაგივრად და სხვ.). სიტყვა „სათამაშო“ ავტორისა „ქ. ც.“ - ის გამოცემელთ არ მოსწონების და „სახლსა სათამაშოსა“ მაგივრად დაუწერიათ „სახლსა საღვინოსა“, („მოქმართა თვისთავე)... სათამაშოთა“...ს მაგივრად („მოქმართა თვისთავე) სასახარულოთა“ და სხვ.. — ზოგიერთი გადაჭარბებული შედარება, რომელიც სწორედ პოეტს შეეფერება, აგრეთვე შეუცვლია „ქ. ც.“ - ას. ისტორიკოსი ამბობს მაგალითად, რომ გიორგი მეფე „ივნო ესრეთ, ვითარცა იგი“, ე. ი. ქრისტეო, და სხვ., „ქ. ც.“ - ბა კი ასე სცვლის ამ ადგილს: „რამეთუ ვითარცა თვით ღმერთმან და ძემან ღმრთისამან, ჩვენდა მომართ მოსრულმან ხორცითა შით ადამიანთა, მიიღო სიკვდილი, რა საკვირველ არს, უკეთუ მიწით მოღებულნი მიწადვე მიიქცენ“ და სხვ.. ისტორიკოსი ბურღუხან დედოფალზედ ამბობს: „თვით მარიამს, განმანათლებულსა ცისა და ქვეყანისასა ესახების, თვინერ ქმრისა მყოლობისათ“ და სხვ.. „ქ. ც.“ - ბა ასწორებს ამ ადგილს ისე, რომ მარიამში სრულადაც არ არის იქ მოხსენებული. ისტორიკოსი აღაჩებს თამარსაც მარიამს და მის მიერ გიორგი ლაშას შობას იესო ქრისტეს შობას: „მიუდგა თამარ განწმედილითა გონებითა და... ტახახმელისა ბათლემ მყოფველმან მუნ შვა ძე სწორი ძისა ღმრთისა“. „ქ. ც.“ - ბა ასწორებს: „და იყენეს რა დავანებულ ტახახმელსა, მუნ შვა ძე ყოვლითურთ მსგავსი პაპისა მისისა“-ო, და სხვ.. —

VI

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორი მონარქისტია, ერთ - მთავრობის მომხრე, როგორც მრავალი ქართველი მისი დროისა იყო და თვით რუსთველიც, რომელიც ამბობს: „მისგან (ესე იგი ღმრთისაგან) არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერთითა“. მას ამიტომ არც ყუთაღუ - არსლობა-

ნის მოძრაობა მოსწონს და დავითის, გიორგის ძმის - წულის განდგომას „გვართა უბედურებად“ აღნიშნავს. მას სწამს იმეკვიდრობით ვარდაცემა არა მარტო ფიზიკური თვისებათა: „ოდეს დახატული ბუნებისაგან იშვა და წარმოიჩინა (გიორგი ლაშა), მოაქენდის თვის შორის ხატნი და სახენი თვისთა დამსახთა მშობელოთაო“, არამედ აგრეთვე სულიერი თვისებათა იმეკვიდრობაც — „თანაშთამომავლობაც“. „ვ. ტ.“ - ში რუსთველიც იმეორებს მსგავსსავე აზრს პლატონისა: „მსგავსი ყოველი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულიაო“. — ისტორიკოსს სწამს, რომ ყველაფერი ღმრთის წინასწარი განგებაზეა დამოკიდებული, ამიტომ თავითგან აუცილებელი. ეს რუსთველსაც სწამს, როდესაც ავთანდილს ათქმევინებს: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“; „არ გადავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა“; „ვისგან (ე. ი. ღმრთისაგან) ძალნი შეციქონი: განავებენ აქა ქმნადსა, იგი იქმან ყველასა...“; „ბრძენი სჯერა მოწვენადსა“, და სხვ.. ისტორიკოსს ღმრთისაგან „წრთენსა“ სწამს, „სასჯელი“ ცოდვათათვის, თუ კეთილი იყო შემცოდებელი: ზოლო ღმერთი მას ისევ კეთილს შიანიჭემს, ვინაითგან „კეთილი კეთილთათვის არს კეთილ, ვინა იგივე კეთილი ბიროტთათვის ბოროტ“ (აზრი პლატონის კანონთაგან ამოღებული). „ვ. ტ.“ - ში რუსთველს ამ აზრის ასე გამოთქმა არ დასჭირვების, მაგრამ მას საერთოდ სწამს კეთილის გამარჯვება ბოროტზედ: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება შისი გრძელია“ (ამბობს ასმათი); „ცვან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელია“ (ეუბნება ღმერთს ფატმანი) და სხვ.. — „ისტორიათა და აზმათა“ ავტორისათვის კეთილიც უბოროტოდ არ არსებობს: „შემდგომად ამისა, დღეკეთილობასა და სვესრულობასა შინა მოიწია თანანადები სოფელსა ამას შინა (გარდაიცვალა ბურღუხან დედოფალი); „ამას ესე - ვითარსა სისრულესა სოფლისა მონაგებთა და დიდებთასა აპა მოიწია ჟამი ევას წყევისა და ადამის ცთომათაგან დანასაჯი“ (გარდაიცვალა გიორგი მეფე); „ესრეთ სისარულსა შეუთქს მწუხარებაო“ (გარდაიცვალა სოსლან დავით); როდესაც საქართველო დიდ წარმატებაში იყო და ძლევა - მოსილი, „ამისთვისცა მოხედნა რისხვითა მოწყალებან ღმერთმან სამკვიდრებელსა თვისსა და მოიცვალა მეფე თამარ“, და სხვ.. — „ვ. ტ.“ - ში იგივე აზრი განსხვავებულად არის გამოთქმული: ყოველი კეთილს თანა სძევს ელემენტო ბოროტი-



სა, ელემენტი ემმაცისა (ეს ძველი სპარსული რწმენა): „სდევს მიჯნურსა ფათერაკი“, „სდევს ფათერაკი მიჯნურისა“. რუსთველი აცრქთვე ამბობს: „უბოროტო ვის ასმია, რაც ა კარგი, — უც-შმაკო“<sup>14</sup>) და სხვ. და ბოლოს რუსთველის წაბად-ვითვე დაწერილ ბოლოსიტყვაში შემავსებლისა შემდეგი სწერია: „რასა ვინ იძებთ—რას აქნევთ? — ბედია მსაყენებელი! ვის არ შეუცვლის, კარ-ვისა თუ რისამ იყოს მხლებელი“.<sup>15</sup>) და კიდევ ბევრი რამ არის სათქმელი „ისტორიათა და აზმათა“ და „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევებისათვის, მაგრამ აქ ზემოთ ნათქვამიც ვიკმაროთ და შევნიშნოთ მხოლოდ კიდევ ერთი რამ: ბევრს მართლსაწინოდ შეუძლებლად მიაჩნია რუსთველისა და „ისტ. და აზმ.“ ავტორის იგივეობა, თუნდა მართა იმიტომ, რომ რუსთველი სამება-საც კი არ ახსენებს „ვ. ტ.“ - ში, ხოლო „ისტორიის“ ავტორი მკაცრ მართლმადიდებლად სჩანს. მაგრამ ასეთი აზრი შემცდარი იქმნებოდა: რუს-თველიც ღრმა მორწმუნედ სჩანს და სამებასაც იხსენებს: „ვ. ტ.“ - ის ადგილი: „ჰე მზეო, ვინ ხატად იტყვეს მზიანისა ღამისად“ წარყვნილია და უნდა იქმნას აღდგენილი: „... მზიანისა სამი-სად (ერთ - არსებისა ერთისა“ და სხვ.) (V, 2, 1 - 2).

ხოლო ჩახრუხადის ოდებისა და „ისტორიათა და აზმათა“ ზოგიერთ ადგილთა მსგავსება სრულიად უმნიშვნელია: ავტორს მხოლოდ ეტყუობა, რომ ზოგიერთი ოდა მას მოსწონებია და მათა მოწონებით დაუწერია: რადენიმე ადგილი თვისი თხზულებისა. მაგრამ „ვ. ტ.“ - შიც ზომ გვენდება ადგილები მავთელის და ჩახრუხადის ოდებითგან ამოღებული რუსთველის ან მისი შემავსებლის მიერ.

VII

ყველა შემოსხენებული მოსაზრებით ჩვენ ვამოვთქვამთ რწმენას, რომ რუსთველს დაუწერია „ისტორიანი და აზმანი“. შეიძლება ეს რწმენა ოდესმე დოკუმენტალურად ვანმტკიცდეს. შემოსხენებული ცნობაც ანტონ კათოლიკოსისა ნებას იცაძლევეს, ასე ვიფიქროთ.

მაინ არ იქმნება განიდადებული განმეორება იმისა, რომ რუსთველს თამარის „ქებანიც“ დაუწერია და ეს „ქებანი“ დაკარგულანო. ზო-

გივრთ მკვლევარს ჰგონია მართლსაწინად, რომ ქებანი უსათუოდ ლექსად უნდა ყოფილიყვნენ დაწერილი. ეს მართალი არ არის. „ქებანი“ პროზად შეიძლება დაწერილიყვნენ. „ვ. ტ.“ - ის ეპილოგში (მესხი - მელექსისა) სწერია: „ესე ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი, პირველ ზნენი და საქმენი, ქუბანი მათი მეფეთანი, ებოვენ და ლექსად გარდავთქვენ“ - ო. მაშასადამე ქებანი პროზად უნდახდეს (თითქოს!) რუსთველს და ვარდაუქნია ლექსად. — წმიდა არჩილის „ცხოვრების“ ავტორი ამბობს: არჩილის „ღირსებისთა ქებათა ვერგინ მკადრე ქმნილი არს, თვინიერ მის ჟამისა წმიდისა იუბისკაობისა ლეონტი შროველისა“ - ო. აქაც „ისტორია“, „ცხოვრება“ არჩილისა „ქებად“ იწოდება. ხოლო „ისტ. და აზმათა“ ავტორი, ჩემი აზრით რუსთველი, ისტორიის ერთ უდიდეს მიზნად „ხელმწიფეთა შემასხმელობას“ სთვლის და თავის თხზულებასაც „ისტორიანი და აზმანი“ (ე. ი. „ქებანი“) უწოდა. ამიტომ მიძღვნის სიტყვანი „ვეფხისტყაოსან“ - ში: „ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია“. ან და ჩანართი სტროფის სიტყვანი: „თამარა ვაქებდ შეფესა ცრემლისა სისხლ - დათხელი, ვთქვენი ქებანი ვინი მე, არ ავად გამორჩელი“ „ისტორიათა და აზმათ“ უნდა გულისხმობდენ, რომელთა პირველი ნაწილი, მანქარა ომის ამბით დამთავრებული, რუსთველს „ვ. ტ.“ - ის უწინარეს დაუწერია. რუსთველის „ქებანი“ მაშასადამე არ დაკარგულან, არამედ პროზად მოგვეპოვებიან, როგორც პირველი ნაწილი თამარის „პირველი ისტორიკოსის“ თხზულებისა<sup>16</sup>). — შემდეგ რუსთველს დაუწერია არა მართა „ვ. ტ.“ - ნი, არამედ მთელი ისტორიაც თამარის მეფობისა მის სიკვდილამდე.

VIII

ბოლოს, ზოგი რამ არის სათქმელი ტექსტის დასასრულისათვის. ეს დასასრული, ჩემი აზრით, მინაწერია ერთი ძველი ხელით - ნაწერის ბოლოში, რომელიც შემდეგ გადამწერლებს თვით ტექსტის ბოლო ჰგონებისა და დაუტოვებისა, როგორც ასეთი. პირველი მინაწერი ჩვენ აქ არ გვა-

<sup>16</sup>) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველ ბერძნულ მწერლობაში ისტორიულ ბიოგრაფიათა წერა „ქების“ სახით ისოკრატეთგან იწყება, ისოკრატე კი პროზით სწერდა, — აგრეთვე მის შემდეგ სხვა შემთხვევლნი ისტორიულ ბიოგრაფიათა.

<sup>14</sup>) ტექსტი წარყვნილია: „რაცა კარგი სავეშო“ უაზრობა.  
<sup>15</sup>) ტექსტი წარყვნილია: „ვის არ შეუცვლის, კარგისა, ორისავე იყოს მხლებელი“ უაზრობა.



ინტერესებს („არასენი იტყვის იყალთოელი“ და სხვა). ხოლო მეორე მინაწერის განხილვა საჭიროა, რათგან მისი ვაუტეზობით ზოგიერთი მკვლევარი სრულიად შემცდარ აზრს გამოხატავს. ეს მინაწერი ტექსტის ბოლოში ასეა: „იოვანე იტყვის ჭიმჭიმელი“:

„თულთალი მილისეველმან საფერო შესახა შამშისა.

დავით თქვა ზესთა განდიდეს მით რხმალი ხორცსა ჭამს მათ და

აქლემსებრ ძალით მპყრობელად გეთსა ხამს ის“. — ეს დამახინჯებული ლექსი რასაკვირველია სრული უაზრობაა. პ. ინგოროყვა ასეთ ნაირად აღადგენს ამ ტექსტს „ქ. ც.“-ის ვარიანტებისა და ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიის ხელთ - ნაწერის მიხედვით:

„თულთალი მილისეველმან სფერო შესახა შამშისი,

შან ისტრულისსა დასცა და მიდგნა დყიყა ჯამშისი.

დავით თქვა: ზესთა განდიდეს, მით ზრმალით ხორცსა სჭამს ისი,

აქილევისებრ ძალითა მპყრობ ელადეღთსა ხამს ისი“.

შეიძლება, როგორც იგი, ჯავახიშვილი ამბობს, „ისტორიისთა და აზმათ“ ბოლო აკლდეს, თუმცა მე ეს საეჭვოდ მიმაჩნია, — თხზულება დამთავრებულია თამარის სიკვდილით და დამარხვით გელათს, მაგრამ ჩვენი დიდი მეცნიერის აზრს, თითქოს ზემოხსენებული ლექსები თამარის დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვების ნაწყვეტები იყოს, ციტატები დავით აღმაშენებლისა და დიმიტრი მეფის დროის არსენ იყალთოელის პნეტრიწონელის და იოვანე ჭიმჭიმელის ძველ ნათქვამთაგან (არც ვიცით რა შემთხვევაში), სიმართლედ ვერ მოვიღებთ, რათგანაც მინაწრისთ იგივენი თამარ მეფეს არ შეეხებინან. ისინი, როგორც ვთქვი, მინაწერნი არიან და სხვა არაფერი. ხოლო ინგოროყვა ჰხედავს მეორე მინაწერში სრულიად შეცდომით ვიღაც თულთალი მილისეველს, რომელიც თითქოს თამარის ისტორიაში მოხსენებული და რომელსაც დაუწერია თამარის და დავითის ოდები, ისიც შეტად ცნობილი. მაგრამ მისგან არ მოხწეულა არც ერთი სტრიქონი! (იხ. რუსთ. ტ. I, გვ. 280/81). ეს პირდაპირ გაუგებრობაა. არავითარი ქართველი მწერალი „თულთალი მილისეველი“ არ არსებულა (როგორც არც არსებულა ინგოროყვას მიერვე წარმოდგენილი პოეტი „ბაჰამან მანი“).

„თულთალი მილისეველი“ კი არ უნდა წავიკითხოთ მეორე მინაწერში, არამედ „თვით თალის მილისეველი“, ე. ი. თალეს მილეტელი, ბერძენთა, იონთა ფილოსოფოსი, ბუნების - მტყველი და ვარსკვლავთ - მრიცხველი (მე-VII საუკ. ბოლოში ქ. წ. მცხოვრები (შეად. ბერძნ Milesios მილეტელი, Miletos მილეტი, იონიის ქალაქი სტრიე აზიაში, კარიასი). მილისიველი ნამდვილი ქართული სიტყვის წარმოებაა, როგორც „გერგესეველი“ და სხვ.— მთელი ტექსტი კი ასე უნდა იქმნას აღდგენილი (სამი სტრიქონი, რომელიც მინაწერშია და უეჭველად დავით აღმაშენებელს შეეხება):

„თვით თალის მილისეველმან სფერო შესახა შამშისი.

(თვით თალეს მილეტელმან შესახა სფერო მზისა).

„დავით, თქვა, ზესთა განდიდეს, მით ზრმალი ხორცსა ჭამს მისი.

(მან თქვა [თვისი ანგარიშით]: დავითი განდიდდება ზეგარდმო, ამიტომ მისი ზრმალი [მტერს] დასთრგუნავს).

აქილევისებრ ძალითა მპყრობ ელადეღთსა ხამს ისი.

(აქილევის ძალის მქონეს, მას შემეფენის საბერძენთს იყოს მპყრობელი“)

ეს იმას ნიშნავს, რომ დავითი თვით საუკუნეთა წინასწარ მეცნიერთა წინასარმტყველებით განჩინებული ყოფილა ისეთ მპყრობელად, რომელიც ღირსი იყო თვით ელადადის ხელმწიფობისა.

ასეთი ქება, რომ დიდნი მეფენი თვით ღმრთისაგან წინასწარ არიან განჩენილნი ქვეყანათა მპყრობელებად, იშვიათი არ არის ჩვენ და სხვა საისტორიო - სასოტო მწერლობაშიც. „ისტ. და აზმ.“-ც ხომ ამბობენ, რომ ფიორჯო ლაშა „იხილეს ყრმა ახალი ვითარცა პირველ - საუკუნეთა განწესებული ძედ მეფეთ - მეფისა, შვილად ცხებულად დავითიანად“. ხოლო ზემოხსენებული ქება დავით აღმაშენებელს ეხება, რომლის დიდი ბედი უკვე მილეტელ ვარსკვლავთ - მრიცხველს თალესს დაუნახავს წინასწარ თვისი მეცნიერული ანგარიშით. 17).

**მის. წერეთელი**

17) ხელთ - ნაწერის ბოლოში სწერია: „დიდება ღვთისა“. ესეც, რასაკვირველია, მინაწერისა გადაწერისა, რომელსაც, დაუსრულებია რა მძიმე შრომა ტექსტის გადაწერისა, უთქვამს: „დიდება ღმრთისათვის“, — გავათავებო.





ქართული ხელოვნების ძეგლები ანტიოქიის სანახევში

ცნობილია, რომ სიმონ მესვეტესთან (+596), რომელიც ქ. ანტიოქიის ახლო მწირობდა, ხშირი ურთიერთობა ჰქონდა თანამედროვე ქართველობას. მასთან ზიარეთში იდიოდენ ქართველები არამც თუ სირია - პალესტინიდან, არამედ საქართველოდანაც. ამის აშკარა საბუთია თვითონ სიმონის ბიოგრაფია<sup>1</sup>). სიმონთან ქართველების უფრო მეტს, მჭიდროდ კავშირს ამჟღავნებს მისი დედის, წ. მართას ცხოვრება და მოქალაქეობა<sup>2</sup>). ეს ბიოგრაფია იცვხომ აღწევს ხოტბა იერუსალიმს მკვიდრ ქართველ ბერებისა და მათი „მამასახლისის“ ანტონისა, შემდეგში რომ სე-ლევიკის ეპისკოპოსათ დანიდგინა, რომ განსვენებულმა მ. პავ. პეტერსმა აზრი გამოთქვა მის ნაბოლარ თხზულებაში<sup>3</sup>): წ. მართას ცხოვრების ბერძნული დედანი შეწყობილი უნდა იყოს, ქართველთა სადიდებლად და აპოლოგად, რომელიმე ქართველის მიერ.

მე - VI საუკუნის აქეთ ივერიის ძეთა დენა სიმონისა და მისი დედის სამკვიდროსკენ აღარ შეწყვეტილა. აქ თანდათან იმდენმა ქართველობამ მოიყარა თავი, რომ მე-X-XI საუკ. მანძილზე ანტიოქიის მიდამოებში ქართველთა ათი ეკლესია - მონასტერი იყო, მეტი თუ არა:

1. სიმონისა, „წმიდად მოდად (თორნედ) სახელდებული“<sup>4</sup>);
2. თვითონ სიმონ წმიდასაც ბინადრობდენ ქართველი ბერები, როგორც მოწმობს იქ ნაპოვნი ქართული წარწერები;
3. ჩომანისა;
4. პრიკოპისა (?);
5. წყაროთა;
6. ლერწმისა;
7. მამა ეზდრასი;
8. კალიპოსი;
9. კასტანა;
10. ბარლამისა, პ. პეტერსის აზრით<sup>5</sup>);
11. თომასი;
12. ვიორგისა სელევიკაში, იგივე ლერწმის ზომ არ არის სელევიკის ახლოს?

ხოლო დრო ითავისას შერებოდა. კაცთა ნაღვაწის მოძულე ბუნება და ადამიანის უღმობილო ხელი უდარდელად არღვევდა ბერ-მონა-

ზონთა მღუღარე ცხოვრებას და მტერსა და ნაცარ ქვეშ მარხავდა მათ ფერადოვანს, მოყვრის ხელით აგებულ ძეგლებს. წმ. შენობათა რღვევა იქამდის გაგრძელდა, რომ ბოლოს ნგრეულ ნეშტთა მართა მწვერვალი - ლა თუ ამოიყრებოდა ქარისა და წვიმის ნალექთაგან. დიადი წარსულის ნატამაღთა იცვხომ სავალალო ყოფაში დაარჩენა დიდხანს აღარ შეიძლებოდა. საჭირო შეიქმნა უმალ მათი მხეზე ამოტანა. ეს სასახელო ღვაწლი იკისრა საფრანგეთის „წარწერათა და მხატრულ - მწერლობის აკადემიამ“.

სიმონ წმიდის ირგვლივ გათხრების წარმოება აკადემიამ დააგლა ბეირუთის უნივერსიტეტის ერთ - ერთ პროფესორს მ. მესერიანს, წარმოშობით სომეხს, ვინაიდან საშუალო საუკუნეს სომეხებსაც ჰქონდათ საკუთარი მონასტრები იმავე ადგილს.

ბ. მესერიანის მიერ წარმოებულ გათხრები სასურველი შედეგით დაგვირგინდა. დღის სინათლეზე გამოტანილი იქმნა სიმონ წმინდა და თომას მონასტერი. ამ ორივეს ნანგრევებში მესერიანმა აღმოაჩინა ექვსი (6) ქართული ჯერეთ უცნობი წარწერა<sup>6</sup>). მესერიანს მის აღმოჩენათა მონაცემი, საუბედურით, ჯერ არ გამოუქვეყნებია, ამიტომ ეხლა სიტყვა უნდა დაუთმო საფრანგეთის გამოჩენილ არქეოლოგს ვაბრ. მილ-ლეტს წინათქმული აკადემიის წევრს, რომელიც თავალით მინახვლი და ხელით შემხები სიმონ - წმინდის ფართობზე წამოყენებულ საეკლესიო ძეგლებისა. ამის შესახებ მილლეტმა მოხსენება გააკეთა აკადემიის 12 ივლისის სხდომაზე, 1933 წელს<sup>7</sup>). მან შემდეგი აცნობა შეყრილ საზოგადოებას: 1932 წ. 28 სექტემბრიდან 23 ოქტომბრამდის ჩატარებულ გათხრებს მიზნად ჰქონდა აღმოეჩინა ნანგრევები ორი ეკლესიის: უმცროსი სიმონ მესვეტისა და წ. თომასის. ორივე მღვდარეობს მდინარე ორონტის მარჯვენა ნაპირზე, პირველი საკვირველ შთაზე და მეორე შავშთაზე, ანტიოქიისა და ზღვის შუა, ამ მოხსენებიდან ჩვენ მოგვყავს რაც ქართულ ძეგლებს შეეხება, ისიც უმეტესად ფრანგულ ენაზევე, რადგან ქართ. არქეოლოგი, ვისთვისაც ფრანგულიტი კაი ხანს მიუწოდებელი დარ-

1) იხ. „ბ. ქ.“ № 6, გვ. 28.

2) ამ თხზულების ქართული ნუსხა, სამწუხაროდ, ჯერ გამოცემული არ არის. მისი ნაწყვეტები გამოაქვეყნა ნ. მარმა (იხ. Zapiski vostochn. otdelen. archeol. obcestva XIII, 1901) p. 36-46.

3) Le tréfonds oriental de l'hagiographie byzantine, Bruxelles 1950, p. 161.

4) P. Peeters, L'Eglise géorgienne du Clibanion

5) იგივე, Traductions et traducteurs dans au Mont Admirable (Anal. Bolland. 46, 1928) p. 243. l'Hagiographie orientale (Anal. Boll. 40, 1922) pp. 284.285.

6) Mélanges de l'Université de St. Joseph à Beyrouth 1947-49, p. 240.

7) Comptes rendus de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres, Paris 1933, pp. 343-348.





ჩება, ორიგინალში უფრო გულდაჯერებით გა-  
ერკვევა, ვიდრე მის თარგმანში, რომელიც შეი-  
ძლება მას საეჭვოდ ეჩვენოს. ტექსტი ღირს - შე-  
სანიშნავია, ვინაიდან წ. თომას ეკლესია პირვე-  
ლი ცნობილი ძეგლია პირდაპირ ქართველი ხუ-  
როთ - მოძღვრის მიერ აგებული უცხოეთში.

Millet ამ რიგად აღწერს წ. თომას ეკლესიას:  
«Le plan est celui de l'église cruciforme à croix  
inscrite. En dehors des bras de la croix l'édifice  
comprend un sanctuaire profond à trois absides et  
un narthex. L'ensemble constitue un monument bar-  
long mesurant hors d'œuvre 30 m. 56 sur 17 m. 89.  
Symétrie et régularité parfaite... L'église est bien  
géorgienne: deux inscriptions le prouvent, ainsi que  
les nombreuses marque de tâcherons, dont vingt-  
cinq ont été recueillies et surtout les fragments de  
sculptures ornementales d'aspect très varié et fine-  
ment travaillées». 8).

Millet განაგრძობს: ქართველები ქვისაგან  
აშენებენ მათ ეკლესიებს, როგორც ასურნი; ოლ-  
ონდ მათ ამკობენ ორიგინალურად. ეს შეეკუ-  
ლობა კავკასიიდან მოიტანეს ქართველებმაო.  
ბიზანტიელები სხვა რიგად აგებენ, მათ ნაშენე-  
ბში ქვისა და აგურის ფენები ერთმანეთს ენაც-  
ვლებიანო.

«Le plan serait plutôt byzantin, par les larges  
proportions, l'exacte symétrie des bas côtés, le nar-  
thex distinct du naos; mais les trois absdes noyées  
dans la masse cubique de l'édifice répondent au  
goût géorgien et rappellent Koutais (ბაგრატის  
ტაძარი). L'ornement en revanche, a sa place mar-  
quée dans le très riche répertoire des églises géor-  
giennes».

ორნამენტი მრავალსახე იმყოფება. უეჭვე-  
ლია, მასზე უმუშავენია არა ერთს და ორი ხუ-  
როთ - მოძღვროს. ამას ცხადპყოფს ხუროთა ნი-  
შნები, მორთულობის ჭრელი ხასიათი, მისი მო-  
სახვის სხვადასხვაობაო.

«Certains motifs sont d'un emploi commun au  
XI<sup>e</sup> siècle. Le plus caractéristique à cet égard est  
celui que j'appellerai le rinceau à volutes, un rin-  
ceau géométrique, composé de deux bandes qui  
projetent, sur les côtés, de distance en distance,  
des enroulements symétriques. Les cannelures qui  
accompagnent, sur une arcade, l'inscription géor-  
gienne bien que moins fréquentes, appartiennent au  
même groupe. Pour le reste il est difficile de dé-  
couvrir en Géorgie la pièce exactement semblable.  
Si l'on trouve le motif, par exemple, la large feuille  
dont la pointe retombe en avant, on reconnaît à  
Saint-Thomas une stylisation originale. Le plus  
souvent, le motif, sous son aspect particulier, est

rare ou même unique: tel est l'entrelacs très simple,  
surtout le nœud d'entrelacs, qui jouera plus tard un  
rôle prépondérant dans le décor serbe de la Mora-  
vie; tel est aussi ce magnifique fragment de colonne  
quadrilobée couverte d'entrelacs; telle est cette cor-  
niche où alternent, en croisant leurs tiges, une pal-  
mette ronde à pointe éguë et un faisceau à volutes.  
La palmette à fer de lance surtout et la demi-feuille  
aux lobes arrondis ont suggéré aux marbriers des  
compositions complexes, abondantes et ingénieuses.  
On comparera au chapiteau de Koutais une palmet-  
te encadrée de grappes; à une imposte d'Akhtala la  
savante combinaison de la demi-feuille et de l'en-  
trilacs qui s'adapte à un écoinçon... on trouvera  
quelques combinaisons analogues de la demi-feuille  
et de la croix; on pourra pousser la recherche plus  
loin que je ne l'ai fait, sans risquer, je crois, de  
concevoir une idée moins haute de l'ingéniosité  
inventive des marbriers géorgiens, appelés dans la  
«Montagne Sainte» d'Antioche» 9).

მისერიანმა აღმოაჩინა აგრეთვე წ. გიორგის  
ეკლესია ქ. სელივკიაში, ანტიოქიის ახლო ზღვის  
პირზე, ესეც ქართველ ხუროთა - მოძღვართა მი-  
ერ არის აგებულიო. ეს ეკლესია მთლად დანგრე-  
ულია, გადარჩენილა მოზაიკების ნატეხი და აკ-  
ლდამა - ნეკროპოლი, ალბად ქართველ ხერების  
სამარხი<sup>10</sup>). ორივე ეკლესია მე - XI საუკ. არის  
აგებულიო.

როგორც ზემოდ ნათქვამიდან ნათელია, წმ.  
თომას ეკლესია ნამდვილი ქართული შენობაა.  
იგი პირწავარდნილი ნიშნისა უბრყვილო ქარ-  
თული ხელოვნებისა, როგორც ვეგმით, ისე მორ-  
თულობით. მაგრამ ზოგიერთს თუ აყვებშია,  
სულ სხვა რამეს ლაღადებენ ეკლესიაზე ამოჭრი-  
ლი „ქართული“ წარწერანიო. ერთ - ერთ ამ წა-  
თწერათაგანი მოჰყავს პ. პეტერს:

«Parmi les pierres taillées que le P. Mécériah  
m'a permis d'admirer sur place, en octobre 1935, se  
trouvait alors un ornement que les gens du métier  
appellent un cul-de-lampe. J'ai cru tomber à la  
renverse en lisant au revers de ce bloc admirable-  
ment travaillé, sur une surface apanie à la bou-  
charde, cette inscription tracée au burin, en écri-  
ture huguri: ეკლესია არის ს [ო] მს [უ] რთ,  
«l'église est au Somkhurs».

Cette inscription, destinée à être cachée dans la  
maçonnerie, était donc un titre de propriété que les  
constructeurs de l'église tenaient à mettre en sé-  
curité contre un danger de confiscation dont ils se  
sentaient menacés...

Interrogez les dictionnaires et les interprètes,  
ils vous répondront tous que Somkhuri veut dire

9) Comptes rendus... pp. 346-347.

10) Comptes rendus... 1943, p. 144.



Arménien 11). Mais l'épigraphie n'en aura pas le démenti: l'inscription est bien authentiquement géorgienne, comme le monument dans le paroi duquel elle devait être cachée. Il n'y a qu'une issue à cette anomalie»<sup>12)</sup>: და აქ ანაფილარტის პეტრე-სი ნაწილობრივ ე. მსარისაგან ნასესხებ თეორიას: ძველ გუგარეთში, მცრომინდელ სომხეთში ე. ი. ქართულის სამხრეთი ოლქში, ბინადრობდა ორი ენით (სომხურ - ქართულით) მცეტველი ერი, რომელიც თავის თავს სომხებს ეძახდა. ესენი იყვნენ ქალკედონიანი მსართლმადიდებელი ჰაიკები, რომელიც სარწმუნოების გზით გაქართველდებულნი, ქართველებში არეულიყვნენო. ამ ჰაიკების შთამომავალი იყო მსგ. გმირი თორნიკე ერისთავი და, მარის ნაგულებით, გრიგოლ ბაკურიანი, რადგან ამან თავისი ტიპიკონი სომხურადაც შეადგინაო<sup>13)</sup>. სწორედ ამ გაქართველებულ სომხებს ეკუთვნოდა წმ. თომას ეკლესია და მონასტერი, რის უტყუარი მოწამეა მის კედელზე ამოჭრილი წარწერაო.

აქვს მართლა დასახელებულ წარწერას ამ სახის ლირებულება? წინათქმულიდან უდავოდ ცხადია, რომ წმ. თომას აღმშენებელი იყვნენ ან პირწმინდა ქართველები, ან კიდევ სრულიად გაქართველებული სომხები. მაშ, ქართული ენის უცოდინარობა იერც პირველთა დაედრახება და ვერც მეორეთ. განა არის წარწერა ქართული? არა. „ეკლესია“ პირწმინდნილი სომხურია და უძრის ქართულს „ეკლესია“. რაკი ქართველები მე-V საუკუნიდან მაინც (იხ. 493 წლის წარწერა ბოლნისის სიონზე) მხოლოდ და მხოლოდ სიტყვას „ეკლესია“ ხმარობდნენ, წმ. თომას აღმშენებელს არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ქართველები ამბობენ და სწერენ „ეკლესია“ და არა „ეკლესია“. მერე რას ნიშნავს „სომხური“? უეჭველია, წამწერის სურვილი იყო ერთგვარ: ეს ეკლესია ეკუთვნის სომხებსო. მაშინ უნდა ყოფილიყო: „ეკლესია არს სომხეთა“ და არა: „სომხურთა“, რაც სრული უაზრობაა. ეგების ვინმემ იფიქროს: შეიძლება ამ სიტყვის თანხმობაში (სმხრ), რაკი სიტყვა ხმოვანე-

ბის გამოკლებით არის ქვაზე ამოჭრილი, იმაღლებოდეს სხვა ტერმინი, რაც „სომხის“ შესატყვისისაო. მართალია, წმ. საბას ცხოვრების მე-VII საუკ. შესრულებულს ქართულ თარგმანში ჩვენ გვგვდება წინადადება: საბამ სომხს ბერებს საკუთარი ეგეტერი: (სამლოცველო) მიუჩინა „და უბრძანა მათ მცირეცხა მას ეგეტერსა რაათა აღასრულებდნ სომახარ<sup>14)</sup> კანონსა მის ჟამისასა შაბათსა და კვირაჲცხა“<sup>15)</sup>; ხოლო ეს „სომახარ“ იგივეა, რაც იქვე არა ერთხელ ნახმარი „სომხეთა ენითა“. ამას ერთვის ის მოვლენა, რომ მე-X - XI საუკუნის ქართულ სიტყვიერებაში ყველგან ხმარებულია: არა „სომახარ“, არამედ „სომხური“. ნიშნად: მე-X საუკუნის პირველ ნახევარში ვინმე დაჩიმ ქართულად გადმოიღო „თარგმნება და ეთის ფსალმუნებისა“<sup>16)</sup>, რომელიც მას ენახა „სომხურთა ენითა დაწერილი“<sup>16)</sup>. ამიტომ მე-XI საუკუნეში ამოკვეთილი „სომხური“ უმეტ-ნაკლებით მას აღნიშნავს, რასაც დღევანდელი „სომხური“. კვლავ, ნეტავი ცოდვ რა აზრი ექნებოდა შენობის გულში ჩამალულ წარწერას? მისი დაწახვა და მოქიშვეთათვის ჩვენება კედლის დაუნგრეველად ხომ არ შეიძლებოდა! მერე, ამ წარწერის არსებობა ბევრის - ბევრი სცოდნოდათ მის შემქნელებს. ეკლესიის აშენებიდან 50 - 100 წლის შემდეგ ვიღას ეხსომებოდა ის, ან რისთვის და ვისთვის? ვიდრე ქართველები მონასტერში იყვნენ, წარწერა არ ეხსომებოდათ, გაჰყრიდნ მათ ბერძნები, წარწერა ველარაფერს არგებდა. სინამდვილეშიც ასე მოხდა. მე-XI საუკუნეში სადღაც უადგილო ადგილს დამარხული წარწერა აღმოჩნდა მხოლოდ მე-XX საუკუნეში.

მაშ, რაშიგან ვართ? ჩემის მოსაზრებით, ეს წარწერა იწილაც უფიცი და უბირი სომხები მუშახელის ნაცოდვილარია, სულ რბილად რომ ვთქვათ. ვისაც ილ. ჭავჭავაძის „ქვათა ლაღი“ გადაუკითხავს, მისთვის ყველაფერი ცხადი შეიქნება. მე-X - XII საუკ. უფრო მძაფრი ქიშპობა და მეტოქეობა სუფევდა ქართველთა და სომხეთა შორის, ვიდრე შემდეგ საუკუნეებში. ამის გამო, ერთი ჩიჭორთულად შესრულებული, და ისიც სატენით ლოდის ზერელად გადასწორე-

14) „სომახარს“ და „სომხურს“ იგივე თანხმობანები აქვს.  
 15) კ. კეკელიძე, ქართ. ჰაგიოგრაფ. ძეგლები, ტ. II, თბილისი 1946, გვ. 152.  
 16) იგივე, ქართ. ლიტერატ. ისტორია, ტ. I, თბილისი 1941, გვ. 128.

11) სცდება დიდი მხოლანდისტი როცა ვიქრობს: სომხური ნიშნავს სომხებსაო; ვერ მიხვდარა თუ რით ვანირჩევს ერთმანეთისაგან მგ. სომხები და სომხური, ქართველი და ქართული და სხვ.  
 12) Le tréfonds oriental... p. 162.  
 13) თუ ეს რასმდენად მართალია, იხ. „ბ. ქ.“, № 6, გვ. 27.



## ივსო - ჭრისტანს გოძღვრება და ჭართველი მერი

### წერილი მეექვსე

1453 წელს, მოჰამედ მეორემ ბერძენთა იმპერიის უკანასკნელი თავსეშაფარი კონსტანტინეპოლი დაიპყრო. საქართველოსა და დასავლეთს შორის, გზა გადაიჭრა.

ჩვენი ერი, დაშლილი და დაქსაქსული, ერთად ერთი მებრძოლი ქრისტიანობისათვის აღმოსავლეთის ამ მხარეს, სრულიად განცალკევებული დარჩა ყველგან და ყოველთვის გამარჯვებული ისლამის პირის პირ.

ტრაპეზუნდის იმპერია თამარ მეფის მფარველობით 1204 წელს რომ შეიქმნა, ზ. ავალიშვილის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, „სწორედ იმ დროს დაიღუბა, როდესაც საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა საბოლოოდ მოისპოა“.

ქართველობა სასოწარკვეთილებას არ ემონება და ბრძოლას განაგრძობს, ბრძოლას შეუპოვარს, შეუწყვეტელს.

გიორგი მეფეს ელოჩებმა პაპ კალისტოს მესამეს (1458 - 1459) შემდეგ იღუპეს: „... თუ დასავლეთის ქრისტიანი ერები ოსმალეთს ომს გამოუცხადებენ, ქართველნი მტრის ქვეყანას დიდი ჯარებით შეესვნიან და თურქის საფრობელოს აზისში, ჰელოისპონამდე და თრასიამდე დაიპყრობენ“-ო.

კახეთის მეფე, ყვარყვარე (1451 - 1466) ბერძუნდიის მთავარს შემდეგეა სწერს: „... გავიგე რა, რომ ქრისტეს ერთგული ბრძანდები და რომ შენი უდიდესი სურვილია, ... ჩვენი წმინდა სარწმუნოების დაცვაცულებათ... შენთან მეგობრობა ძლიერ მწყდის. მეც ქრისტიანი ვარ და მსურს ჩემი სიკოცნლე ჩვენი რჯულის გამსარჯვებას შევწირო. ერთგული წინაპართა ჩემთა მაგალითისა, ჩემი უდიდესი მისწრაფებაა ურჯულოებს

ვეომო. ... მე, ჩემი 20.000 მებრძოლით და საქართველოს სხვა მთავრების ჯარებთან ერთად, თურქის წინააღმდეგ, კონსტანტინეპოლს რომ ჰპყრობს, იერიშს მივიტანთ. ... გვაცნობეთ ლაშქრობას როდისთვის აპირებთ და ჩვენც მოვემზადებით... აღვთქვამთ, რომ ანატოლიას და კონსტანტინოპოლის თურქის ყველა იმ ქვეყნებს, ჩვენს მეზობლად რომ შედებარებენ, ერთი ზაფხულის განმავლობაში დავიპყრობთ. საბერძენთს თქვენ შევეცით. მომწყდელი ორ ლაშქართა შუა, მტერი სწრაფად დამარცხდება და მისი სახსენებელი დედამიწის ზურგიდან განჰქრება. კარგად მოისაზრეთ, სხვა ქრისტიან მთავრებთან ერთად. ნუ დაჰკარგავთ თქვენთვის ძლიერი ზელსაყრელ შემთხვევას, ჩვენ რომ ფთავაზებთ. მოგებადეთ ჩვენ, რომელნიც რჯულისათვის ყოველს ვიქმთ... გაითვალისწინეთ შემდეგი: თუ ეხლა, როდესაც ჩვენ მხადა ვართ დაგეზმაროთ, თქვენ არას მოიქმედებთ, ურჯულო თურქი იმდენად გაძლიერდება, რომ როცა მოისურვებთ მას წინააღმდეგეთ, ვეღარას შესძლებთ...“.

საქართველოს ელჩნი საფრონგეთის მეფეს, კარლოსაც წარუდგინენ. მიზანს ვერსად მიაღწიეს და, ზელოცალიერნი, სამშობლოში დაბრუნდნენ.

ქართველები იმედს შინც არა ჰკარგავდნენ და ქრისტიანეთა ძალების დარაზმასა სცდილობდნენ.

მეფე კონსტანტინე მესამე (1469 - 1505), ამ დიდი მიზნის განსახორციელებლად დასავლეთის მეფეებს მიჰმართავს — ისპანიის დედოფალს, იზაბელას, ახალ ჯგეროსნობის მოწყობას; და პაპს, ალექსანდრე მეექვსეს, ოსმალეთის წინააღმდეგ ომიანობას ურჩევს. ეს იმედიც გაცრუვდა.

ბულ ზურგზე უმნოდ ჩათხრილი წარწერა არ კმარა საბუთად, რომ წმ. თომას ეკლესია მართმადიდებელ „სომეხთა“ ძეგლად აღვიაროთ და არა ნამდვილ ქართველთა საკუთრებად.

რაც შეეხება წმ. ბარლამის მონასტერს, შეუძლებელ არაა, რომ იგი ყოფილიყო ქართველთა შენობა; მაგრამ ჩვენ არ გავაჩნია ეპიგრაფიკული საბუთი ამ აზრის დასამტკიცებლად. მე-XII საუკუნის დამდეგ, ეს საყანე მართლმადიდებელ სომეხების ზელში მოსჩანს, რომელნიც

სულაც არ გრძნობდენ თავიანთ თავს ქართველსომეხებად. პ. პეტერსი ფიქრობს, რომ წმ. ბარლამის ბერძნული ცხოვრება შედგენილია ვინმე ქართველის მიერ<sup>17)</sup>.

17) P. Peeters, Un témoignage autographe sur le siège d'Antioche par les Croisés en 1098 (Miscellanea Historica Alberti de Meyer, Louvain 1946) p. 380—389.



კონსტანტინეპოლის დიპლომატიური-სა-ეკლესიური და უფრო გათავისებულნი თურქნი, საქართველოს კვლავ ესტუმრებიან.

ჩვენს მიწა - წყალზედ დაიწყო დაუნდობელი ომიანობა ისლამის ორ უძლიერეს იმპერიათა-შორის: შიიტ - სპარსთა და სუნიტ - ოსმალთა. სისხლისაგან დაცლილი, დაკუწმწებული ქართველი ერთ მარტოდ - მარტოა ამ ორ ბუმბერაზ ძალთა წინააღმდეგ. ჩვენს ქვეყანას ორ „ზონად“ გაჰგლეჯენ. არც დასავლეთიდან და არც ჩრდილოეთიდან არავითარი დახმარება. თითქოს იესომ მისთვის გვარცმული ერთი და ღვთისმშობელმა მისი ხვედრი ქვეყანა დაივიწყესო. ქართველი ბედს მაინც არ ემორჩილება, „ბედის საზღვარის“ გადალახვასა ჰლამობს და ერთგული რჯულისა, მისთვის შეუპოვრად იბრძვის.

საქართველოს საზღვრებზედ და შიგ, ქვეყანაშიც, ისლამია გაბატონებული. ქართველ ერს მარტო ერთი დიპლომატიური საშუალება აქვს: ისარგებლოს ოსმალთა და სპარსთა ურთი-ერთი-საღმი მტრობით.

საქართველოს ტერიტორია ამ ორი იმპერიის შუა მდებარეობს. ვინც ჩვენს მიწა - წყალზედ გაბატონდებდა, ის დიდს სტრატეგიულსა და პოლიტიკურს უპირატესობას მოიპოვებდა.

თუ საქართველოში გაბატონებას რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, შემდეგი გვაჩვენებს: ოსმალეთი უნგრეთის დასაპყრობად ომს აწარმოებდა. აი რას იმბობს ბელლანი: — „1606 წელს, როდესაც შაჰ - აბბაზი, საქართველოში ერთს გამარჯვებას მეორე გამარჯვებას უმსატეხდა, სტამბოლს ეს მდგომარეობა ისე მძიმედ მიაჩნდა, რომ სულთან აჰმედის იტლებული იყო გადაეწყვიტა და აფსტრიასთან სიტვატორიკის ზავი დაემყარებინა“.

აღმოსავლეთ საქართველოს სპარსეთი დაეპატრონა, დასავლეთს—ოსმალეთი. თბილისში ხან ერთი მოკალათებული, ხან მეორე.

სპარსეთს, ხანგრძლივმა ომებმა და პოლიტიკამ ასწავლეს, რომ საქართველოს დამორჩილება მეტად ძნელი საქმე იყო და მიზნის მისახსენებლად, ფართილი პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა. სპარსმა, ჩვენს ქვეყანაში, მცდობა არ ვაუწყა. მეფეს (ზშირად მეფეებს), გარეგნულად მაინც, სუვერენობა დაუტოვა. სამხედროდ გამუსულმანებასა სთხოვდა.

არც ლუარსაბი, არც თეიმურაზი და არც ქეთევანი არ დაჰპოვრდნენ და ქრისტეს არ უღ-

ალატეს. და ეს, დიდი მსაქი - აბბაზის დროს (1557 - 1628).

მაჰმადიან სპარსეთის ყველა მეფეთა შორის, ჭკუით, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ნიჭით, შირს მჭრეტელობით და ურყევი ნებისყოფით, აბბაზი უბადლოა. იგი ერთ უდიდეს დაპყრობელთაგანია, — ფანატიკოსი ირჯულისა და დინასტიის. დინასტიის ინტერესებისათვის, მან საკუთარ მამას, ძმას და შვილებს, თვალები დასთხარა. როდესაც საკითხი დინასტიისა, რჯული-სა და სახელმწიფოს ინტერესებს შეეხებოდა — აბბაზი არც ნათესავს, არც მეგობარს, არც ერთ-გულ მსახურს, არც უცხო ქვეყნის ელჩებს არ დაინდობდა და, ზშირად, საკუთარის ხელით გულს გაუპობდა ან თავს. წაჰკვეთდა.

რათგან შაჰ - აბბაზის ეპოქას უნდა შევეხო, ესარგებლომ შემთხვევით და ამ ამბავს, უმთავრესად ლუსიენ-ლუის ბელლან - ის ნაწარმოების მიხედვით აღვწერო: (Chah Abbas I, sa vie, son histoire. Les Grandes Figures d'Orient. Tome III).

ხოლო, რათგან ბელლანი ლუარსაბ მეფის შესახებ ძალიან ცოტა ცნობებს გვაძლევს, ამ, ირჯულისა და ერისათვის წამებულ მეფის დასახასიათებლად, მოვიყვან ილიას წერილიდან რამდენიმე ადგილს.

„21- იენისს, საქართველოს ეკლესია აღიდებს სახელს მეფის ლუარსაბისას, რომელიც ამ დღეს ეწამა შაჰ - აბბაზისაგან...“

მის დროს იყო იგი სახელოვანი დიდი-მოურავი, გიორგი სააკაძე... რომელიც, იყო რა უზნად მემკული ყოვლისა სამამაცო და საგმირო ღირსებით... მისი აგ - კარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი... ჯერ შიგნულად გამოძიებული არ არიან და ელიან პირუთნელს გამკითხველსა. ეს კი გულდაჯერებით საღიარებელია, რომ მისი მოუსვენარი და უცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა, განსაკვირველი და გასაოცებელი...“ გიორგი სააკაძეს დიდი ზეგავლენა ჰქონდა საქართველოსა და ლუარსაბის ბედზედაო. მისი და, ლუარსაბმა ცოლად შეირთო... „... აზნაურ-შვილის ქალის გადედოფლებამ, განაგრძობს ილია, გული აუშვრია მაშინდელ დიდებულებს, რომელთაც ითაკილეს აზნაურის ქალის დედოფლობა და ბატონობა. დიდი - მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იბატებდა მას დაბალ - ბუნებათა კაცთა შურისაგან... რო-



მელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიიჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდ - მუნებთანობა. (შარბიდან ბარათაშვილმა, შამა - მტყემ ლუარსაბისამ) დაიყოლია მეფე და აათავალისწინებინა იმისთანა კაცი, როგორც იყო დიდი - მოურავი. გადაჰკიდა მეფე დიდ - მოურავსა და დიდი - მოურავი იძულებული შეიქმნა შეჰკედლებოდა შაპაბაზსა, რომელსაც ცოლად ჰყავდა დაი ლუარსაბი მეფისა...

„... ყენი ჩაპ - აბაზი მოვიდა განჯას და დაპირა უგრძნეულად შესვლა კახეთს. კახეთის მეფემ თეიმურაზმა მოიწვია სამეფლად ქართლის მეფე ილიასაბი, შეჰკრეს ამ ორმა მეფემ პირობა, რომ წინააღმდეგენ შაპ - აბაზსა და ამ პირობისამებრ მეფე თეიმურაზი მოვიდა ლუარსაბთან მუხრანს, რადგანაც ამ დროს შაპ - აბაზი იც კახეთიდან ქართლს წამოვიდა“. (ხოლო სპარსთა სპა ისოდენ ძლიერი იყო, რომ მეფეებმა ომი ვერ გაუბედეს და შეეხიზნენ იმერეთის მეფეს, გიორგის. შაპმა გიორგის სთხოვა, შენიხნული მეფეები მისთვის დაეთმო. უარი მიიღო. აბაზმა შარბიდან ბარათაშვილი გაუგზავნა ლუარსაბს. — სამეფოს დაბრუნება აღუთქვა, ოღონდ ჩემთან მოდიო. შარბიდან აბაზსა ლუარსაბის დის წერილიც გაატანა, რომლითაც იგი ძმას სურჩევდა: მოდი, შიში ნუ გაქვსო. დიდებულებმა ბევრი ურჩიეს ლუარსაბს, შაპს ნუ მიენდობიო. მეფემ უპასუხა): „უკეთ თუ არა წავიდე, ამიყრის ქვეყანასა და მოაოხრებს, რა მადლი არს ჩემდა...“ (შაპმა ლუასაბი მაზანდარანში ჩაიტყუა და იქ განუქცადა): — უნდა უარყო რჯული: ქრისტიუნი და გამაჰმადიანდეო. თუ ამას იქმო, დიდითა პატივითა პატივი - გცე და მრავალთა დიდებითა განგიტეო ქვეყნად შენდაო“. (ლუარსაბმა უპასუხა): „უკეთუ ყოველი ქვეყანა ჩემდა იყოს, არა თაეს ივიდვა სიტყვათა და ქადაგებათა შენდა მორჩილებანი, არამედ მეუფისა და ღვთისა მიერ ჩემისა ნათელ - მიღებვის, და მის მიმართ დაშიძს სასოება ჩემი და თვინიერ მისა სხვა ღმერთი არავინ ვიცი“.

ამის შემდეგ ხელ-ფეხ მცურული მეფე წაიყვანეს და დაამწყვდიელეს საპრობილეოში, 7 წელიწადი ჰყავდათ ისე და ცდილობდნენ გაემაჰმადიანებინათ, მაგრამ მეფე „ესრეთ მტკიცად და შეურყვევლად ჰდგა, ვითარცა კლდე სანდამატი, და ესრეთ იხილვებოდა მშვენიერი და ბრწყინვალე პირი მისი — ივითარცა ოქრო გამოდნობილი ბრძემდსა შინა და ცანკვირვებული იყვნენ სიძნისა და ახოვნებისა მისისათვის“. ბევრს ურჩევ-

დნენ მეფეს შეებრალა თავისი მშვენიერება და სიჭაბუკე... მაგრამ მეფემ არ უღალატა თავის ქვეყნისა და ერის რჯულსა და არ შეუდრკა სიკვდილსა. „რა გნებათ ყოფად ჩემდა, ჰყავთ — ეუბნებოდა თურმე შაპ - აბაზის მოციქულთა, — და აღასრულეთ ბრძანება მისიო“. რა ნახა შაპ - აბაზმა ესეთი სიმტკიცე, ლუარსაბ მეფისა და ველარა გააწყო რა, ბრძანა სიკვდილი ლუარსაბისა... (სიკვდილის წინ ლუარსაბმა) დაისვენა თურმე წინ ხატი ღვთის - მშობლისა, რომელიც თანა ჰქონდა, და ასე შეევედრა: პოი დედოფალი ღვთისა - მშობელიო, შენდამი დამიძს სასოება ჩემი; შენ ხარ ნუგეშინის მცემელი ჩემი. შენ მომეცე შეწვენა წამებისა ჩემისა ამის და შემართე წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა, ძესა და წმიდასა სულსა“.

ამის შემდეგ მივიდნენ ჯალათნი და დაარჩევს მშვილდის საბლითა. ეს იყო 1622 წელს, ივნისის 21-სა დღესა. გვამი ესრეთ ქვეყნისა და რჯულისათვის წამებულის მეფისა ჰმარხია შირაზს...“

დაუბრუნდეთ შაპ - აბაზის ცხოვრების აღმწერს, ბელლანს. ავტორი მხოლოდ უცხო წყაროებს ემყარება, განსაკუთრებით: სპარსულს, თურქულს, არაბულს — აგრეთვე ინგლისურს. ფრანგულს, იტალიელებისა და სხვათა. მდიდარ ბიბლიოგრაფიულ რეფერენციაში, ავტორი არც ერთს ქართულს წყაროს არ ასახელებს. ცხადია — არ იცნობს. ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ სახელწოდებანი ქართველთა მეფეებისა, სამეფოებისა, სამთავროებისა, პროვინციებისა, მდინარეებისა, ქალაქებისა და სხვათა, სპარსული ტრანსკრიპციის შინედევითა აქვს აღნიშნული. წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს იმ დიდ როლს, რომელიც ქართველმა ელემენტმა ითამაშა ირანში, ქრონიკული პრინციპის გამარჯვებით რასიულის წინააღმდეგ.

**გიორგი კერესელიძე**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**ბიბლიოგრაფია**

Le Muséon 63, 1950, გამოვიდა მ. შ. თარხნი-შვილის: Les Récents Découvertes Epigraphiques et littéraires en Géorgien. შეიცავს ხანმეტი ტექსტების ნიმუშებს მე-V - VII საუკ. აქ საყურადღებოა ბოლნისის წარწერა 493 წლის და ის შოვლენს, რომ ქრისტიანობის დამყარებამდის ქართველთა ოფიციალური ენა ყოფილა ითითქოს არა ქართული, არამედ არამეული (არმაზული).



გრიგოლ რობაქიძე

სურათი საქართველოს ღამეებიდან

II

ზ ა მ თ ა რ ი

ხარ საქართველოს პარნასის ელჩი,  
ქიმერიონის ქიმში გამბზული,  
გული მოძრავი მოძმეთა ხვედრით,  
ცის - ფერი ხვედრით გამოკვართული.

ბრძოლის ბედია უბედობით მოდგმა,  
ჭინკების ბოდვა წაიღო ქარმა,  
და ნიაღვარმა ახალი სეტყვის,  
ახალი სიტყვა გარგუნა მარად.

შენ გადახსენი ევროპის გულში,  
ქართული ძარღვის სისხლის უჯრედი,  
როგორც უჯრელი სიგელ - გუგები  
თქმა საუნჯენი მშობლიურ ენის.

ქართულს მარჯვენა აკოცხლე მარად,  
ამეტყველე ყამირი სიტყვა,  
მზიური ზიდვა მიწიურ ხვედრის,  
ზღვა - ფრიგალბებთან კალმით შემხვედრი.

ვინა სთქვა ბედ-კრულს ერი არ გწყალობს...!  
შაირებს შეკრულს მთავარ თქმებიდან,  
როს ფიროსმანის ფერებით შემკულს,  
ყაყა ცილიმის მალალ მთებიდან.

გიორგი ყიფიანი

პარიზი 1950 წ.

გამოვიდა: Georgian Relations with France during the reign of Wakhtang VI (1711-24) by D. M. Lang, From the Journal of the Royal Asiatic Society, October, 1950).

ბ. ლანგ ასწავლის ლონდონის უნივერსიტეტში ქართულ ენას.

ბოლანდისტებმა გამოსცეს მ. პ. პეტერსის უკანასკნელი წიგნი, რომელიც წარმოადგენს ჯამს მისი წარსული შრომებისა აღმოსავლეთის ქვეყნებზე. წიგნი დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს, როგორც თვალსაჩინო წევრს აღმოსავლეთის ქრისტიანულ მსოფლიოს. შრომას ეწოდება: Orient et Byzance, Le Tré. fonds Oriental de l'Hagiographie Byzantine par Paul Peeters († 1950). Bollandiste. Bruxelles, S-té des Bollandistes, 24, Bd. St.-Michel.

იტალიური ჟურ.: Accademia di alta Cultura, anno XV, N 12, მოთავსებულია Gaetano Tartaglia წერილი: Il bardo della Georgia. Sciotha Rusthaveli.

მიყვარს მე ზამთარი, თოვლით ათენთილი.  
სიწმინდის ნათელი,  
და ფიფქი მართალი.

სამყარო ნათალი,  
სოფლისა სიჩუქით.  
მიგზურვი ფერი - მკრთალი გაყინულ საბანში,

ხორკლიან ყინვების კანკალა კრიალი,  
მდინარე ვერცხლებში,  
მალული ყმაწვილი.

მხრებ - თეთრა არწივი,  
კლდეების ნაწილი,  
ციური მანძილით მიწაზე დახრილი.

დაუნდულ — გუნდების დაღლილი მკლავები,  
ყინვების ნალესი,

დაკიდულ ხანჯლებად,  
სოფლის დარაჯად  
მთები თეთრა - ფორაჯა,  
ფორაჯა ფერებით ქოხები გაჯრილი.

ღრუბლები ნაჯიფგნი, ქარ - ბუქის ძახილით,  
ვლები და მარხილი,

ორ ღობის ბუნება,  
მთებიდან ბრუნება,  
ახვეტილ ქარების,  
გაყინულ თვლებში ჩამგდარი ბუხარი.

მიყვარს მე ზამთარი ზღაპრებში მძინარე,  
ჭინკების მდინარე,  
ლამიდან ღამეში,

ბაგეში კამეჩი  
კონხა და ხრამუნე  
შუა ცეცხლის ზმაური, ანთებულ ჯირკვებზე.

გარეთ კი მოხუცი ქალარა კითხვები,  
ციური მითები,  
და ხმა: ბაგა - ბუგი.

ფრთებ - თეთრა პელების,  
ქარბუქი ქოსი,  
თოვლით ნამოსი, მთა, ტყე და ქოხები.

გიორგი ყიფიანი

პარიზი 1950 წ.



ღ ი ლ ა

მარგალიტის წვრილ კაკლებათ  
დაიფანტა მინდვრად ცვარი,  
ლხაყვარდ - ფერადი ვაანათა  
ამომავალ მზემ ცის ქარი;  
ნაზი იას მთის ნიავი  
საარშიყოდ ებარება,  
და მის ფოთლებს საიდუმლო  
ჩუმი კოცნით ეკარება.

ფრინველებმა ტკბელ ჰანგებით  
ამოღერეს მთლად საამყარო,  
ათასფერად ათამაშდა,  
აბრწყვიალდა ბროლი წყარო.  
მთელი ღამის არწყობით  
და ეანცხრომით დაღალული...  
დღის წინათლით დარცხვენილი  
ერთხოვება ვარდს ბულბული.

ნორჩი ცირა ფეხშიშველი  
პირსაბანად მიდის წყაროს;  
აფსუსია, რომ დილის მზე  
მის საიტურფეს შეეღაროს.  
მისი მორცხვი თვალით სიღრმეში  
ბუღბუღს ეშხი, მოსჩანს ვნება;  
იმის უსწორ - მასწორ გულმკერდს  
თვით მყინვარიც დაადნება.

ასეთია ჩემი ქვეყნის,  
ჩემს მამულში მუდამ დილა,  
ამ ბუნებას ბედამ შევმან  
გამაშორა, გამაცილა.  
თუ კი ერთხელ კიდევ ვიგრძნობ:  
— გადავიხდი ყოველ ქირას —  
მზის თბილ სხივებს, ბულბულთ სტყვენას  
და წყაროსთან სოფლის ცირას.

მიხილ დადიან

ჩ ე მ ი ბ ე ლ ი

შემოდგომის ცივი ქარი  
დაველოურს უვლის ჩემს ფანჯარას,  
ნელი წვიმა მის მინახე  
ათამაშებს უზუნდარას.

ღამე ებრძვის დღის სინათლეს,  
ბორბოტების აჩენს ლანდებს,  
მე, ამ ქვეყნის აღარა ვარ  
და მიყვებარ შორს, შორს დარდებს:—

სადაც ჩვენი მოძმის სისხლით  
მოაწყულია, კოფრის ველი,  
შმიდა მსხვერპლი საბურთალოს  
და სიონი ძველის ძველი;  
სადაც ნაზი დედა - ჩემი  
ნახშირს ხაზავს კერიაზე,  
წლებებს ითვლის, ტანჯვის წლებს,  
და ჩამოსდის ცრემლი თვალებზე...

მელიტონ უღენტი

მარჯალი გუსტავ ფონ მანნერჰაიმი

გარდაიცვალა კეთილშობილი და გმირული  
ფინეთის ერის დიდი შვილი, მარჯალი **გუსტავ  
ფონ მანნერჰაიმი**. მთელი ერი გლოვს იმ დიდ  
ადამიანს, სახელმწიფო მოღვაწეს და საერაოს,  
რომელიც ეანსახიერება იყო ფინეთის ხალხის  
ეროვნული ნებისყოფისა.

დიდი ფეხრის შვილი, არისტოკრატი შთამო-  
მავლობით და ბუნებით, ყოფილი რუსეთის სა-  
მეფო გვარდის გენერალი, ერთგული და თავ-  
დადებულად ემსახურებოდა იმ ფინეთის რესპუ-  
ბლიკას, როგორც ეს შეჰფერის დიდ პატრიოტს  
და მხედარს.

მისთვის გადაწყვეტი იყო არა სახელმწიფო-  
ებრივი ფორმა, არა ის თუ რომელი პარტიას წა-  
რმოადგენდა ხელისუფლება, არამედ ის, რომ  
ხალხის მიერ იყო დადგენილი მთავრობა, ხალ-  
ხის ნებისყოფის მიერ ძალა - უფლებით აღჭურ-  
ვილი. მისთვის ხალხის სურვილი ბრძანება იყო  
და მას უკომპრომისოდ ემორჩილებოდა. იგი ქე-  
მარტი მთარებელი იყო თავისი ერის სულის,  
ზნეობის და ტრადიციების.

როდესაც ქვეყანას საფრთხე მოელოდა, პარ-  
ლამენტი მას გადასცემდა ხოლმე მთელს სახელ-  
მწიფოებრივ ძალა - უფლებას. ამიტომ ვანსვენე-  
ბულს არა ერთხელ ეპყრო ხელთ სახელმწიფოს  
საქმე, მაგრამ არასოდეს მას ის თავის სასარგებ-  
ლოთ არ გამოუყენებია, ის არასოდეს არ შეცი-  
ლებია მთავრობას მის უფლებებში, — თუმცა  
არა ერთხელ ჰქონდა ამის შესაძლებლობა,  
საქმე ფინეთის სოც. - დემოკრატიული პარტიის  
მეთაურმა.

მისი თვისება იყო უაღრესად ეროვნული პა-  
ტუხისმგებლობა და მას უმორჩილებდა მთელი  
თავის არსებას.

როგორც საქართველომ, ისე ფინეთმა თავისი



სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, გერმანიელთა დახმარებით აღადგინა.

1918 წ. ფინელებმა გერმანიელებთან ერთად მანერჰაიმის მთავარსარდლობით, დაამარცხეს და განდევნეს ფინეთიდან ბოლშევიკური ურდოები.

1939 წ. და 1941/44 წ. განსვენებული მთავარსარდლობდა ფინეთის თავგანწირულ ომებში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

მარწალი მანერჰაიმი დიდი მეგობარი იყო ქართველი ხალხის. ფინეთი და საქართველო ხომ ერთგვარად იზაგრებოდნენ რუსეთის იმპერიის მიერ. მას ძველი დროიდან ბევრი ქართველი მეგობრები და ამხანაგები ჰყავდა.

უკანასკნელ ომის დროს მან მემორანდუმით მიმართა გერმანიის მთავრობას საქართველოს შესახებ.

მაქცევდა რა გერმანელების ყურადღებას ქართველი ერის ისტორიაზე, კულტურაზე და

მის პოლიტიკურ უფლებებზე, ურჩევდა მათ და შუამდგომლობდა, ამის და მიხედვით სათანადოდ და ღირსეულად გადაეწყვიტათ საქართველოს პრობლემა.

ახლა ეს დიდი ბუნების აღამაანი, დიდი სარდალი განისვენებს გმირთა სასაფლაოზე, თავის თანამებრძოლთა შორის, რომელთა ცხოვრების აზრი მხოლოდ ერის სამსახური და მისი კეთილდღეობა იყო, და რომელნიც მარშალ მანერჰაიმის ხელმძღვანელობით გამოიწველად იცავდნენ ერის ღირსებას, მის თავისუფლებას, და მას შეეწირნენ!

ვის შეუძლია ისე მწარედი განიცადოს ფინეთის ხალხის მწუხარება, როგორც ქართველთა?!

მებრძოლი ქართველობა თავს იხრის დიდ ფინელის ნეშტის წინაშე! განსაკუთრებით ქართველ მხედართა თავყანისცემმა მარშალ მანერჰაიმს.

ნიკო ნაკაშიძე

კ ე თ ი ლ ნ ი    და    უ კ უ ლ მ ა რ თ ი ნ ი

„ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო, ვინ იღარგო ერთად ამდენი ვაზი, სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო ან და არ იყოს ასე ლამაზი!“

ტ. ტაბიძე

დღევანდელი მსოფლიო მდგომარეობა მწვავე ფიქრებს იწვევს მათში, ვისაც აზროვნება შეუძლიან.

ჩვენი საუკუნე მარბონეტებით ქანაობს სიმხინჯისა და ველურობის სამიჯნოებს შუა, როგორც ამბობდა ფრიდრიხ შილოერეი.

ქვეყნიერება დაქანდა და დაეშვა ზნეობრივ სიმდაბლის სიღრმეში. დავიწყებულია ყველაფერი, რასაც უმაღლესი სულიერი ღირებულება აქვს, სილამაზეს კქმნის და ცხოვრებას ნამდვილ შინაარსს აძლევს. უპირატესობა აქვს მიცემული წარმავალს, მიწიერს, ნივთიერს.

სამინელი სისწრაფით მიმდინარე პროცესს საყოველთაო დაცემისას ჩვენთვის ემსახურა კიდევ უსამშობლოება, ვაჭირვება, ჩვენი ემიგრაციის თავის ანაბარად ყოფნა, რომელსაც დამხმარე არსაიდან არავინ ჰყავს.

სამადლოდ უცხო მიწა-წყალს მიკედლებულ, უცხო ცის შემყურე ქართულ ემიგრაციას ამ სამინელ რყევაში და კაცობრიობის მიერ გზაკვალის ძებნაში დიდი ღირსებით უჭირავს წინა-

პართა დიდებული და პატივ-მოსილი დროშა. იგი წმიდათი ინახავს ქართულ სახელს, მოთმინებით იტანს მწარე ბედს და არ ემოჩილება მას. მიუხედავად ცხოვრების უმძიმესი პირობებისა, შენახულია ქართული წესი და ადათი და დაცულია ქართული კერა. ქართველი ქალი დიდებულად ასრულებს თავის მოვალეობას, და მადლი იმ დედებს, ვისაც თითებში წლიდან - წლამდის დღე და ღამე ნემსის ტრიალით თვალეებში სინათლე გამქრალი აქვს და შეილებს კი უმაღლესი სწავლა - განათლება მიაღებინეს. შეუჩვეველნი მძიმე ფიზიკურ მუშაობას და მით წელში გამწყდარნი, მშობლები შეილებს ყოველნაირად ხელს უწყობენ და თუ განსაკუთრებულ ნიჭს აღმოაჩენენ, შეუძლებელს ახერხებენ და არაფერს აკლებენ.

ავიღოთ ან ის, თუ რა პატრიოტული გრძნობა ტრიალებს ყველა შეგნებული ქართველის გულში და თუ როგორ აღმერთებენ თავისთ საკურთხეველს, შორს, შორს დატოვებულ სამშობლოს!



რა საუცხოვრო სანახევია და მოსასმენი, როდესაც პატარა ბავშვები ქართულ ლექსებს ტიტინებენ! აქა ჰვრდნობ, რა შთაგონებით უხსნიან მშობლები და უნატოვენ ყოველ სიტყვას, რასაც ბავშვის გრძნობიერი სული ხედება და ითვისებს. მხოლოდ სამწუხაროა, რომ, როცა წამოიზრდებიან, ნაკლებად ეტანებიან ქართულ ენას და ლიტერატურას. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ სასწავლებლებში მეტად დატვირთულნი არიან გაკვეთილებით და მშობლების გავლენა იჩრდილება უცხო სკოლის გავლენით.

პაროზში ქართველთა სათვისტომოს თავისი ხელმძღვანელობა ჰყავს მისი დაარსების დღიდან, რომელიც უანგაროდ და მიუდგომლად პატრონობს და უფლის მას. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ეს ძველი ტრადიცია დაირღვა და საერთო კერაში მიკერძოება და განხეთქილება შემოიჭრა. მაგრამ იმედია ქართული საზოგადოება ისევ დაუბრუნდება თავის ძველ წესს და გზას და მთლიანობა კვლავ დამყარდება.

ხოლო რა ქნას და რა უყოს სათვისტომომ იმ ორიოდე უმეცარი გონება დაბნეულ და შურით აღსავსეს, ვისთვისაც დამსკმაყოფილებელი არ არის ჩვენი სავაგლახო და სამგლოვიარო ცხოვრება და რომელთაც პიროვნების უპატივცემლობა და ცილის წამება გმირობად აქვს დასახული?! აქა იქ ქონდრებივით გაფანტულნი, ესენი ვერ იაშენენ ვერც კეთილ პიროვნებას და ვერც კეთილ საქმიანობას. ეხუთებათ სული და ირევათ გული, როგორც ეშმაკს ჯვარის დასახვაზედ. სადაც კეთილ საქმეს დაინახავენ, მიესევნიან რომ განიავონ. რამდენი რამე იყო კარგი დაწყებული და რამდენი ჩაიშალა მათი წყალობით! მაგალითისათვის ავიღოთ თუ გინდ ქართული ბალეტი, ეს მშვენიერი ეროვნული საქმე. მათ ისე მოქნილად წაკიდეს ერთმანეთს მისნი ხელმძღვანელები და ყველაფერი ატყდარიეს, რომ უკვე გამზადებული საქმე პაროზში ჩამოჰკიდეს.

უკუღმართი მუღმივე ეძებს საკვებ - სიავეს და სიმრუდეს. რა ქნას, ეს მისი ბუნებაა! მას კვლიც არ უჩანს არც ღმერთთან, არც ერთან, არც სიტყვასთან. ამადე დროს იგი დარწმუნებულია, რომ მსრტო ის არის ამ პლანეტის სრული მფლობელი და მისი ამომავალი მზე. სხვისი საქმიანობა მტუროთ ახრჩობს და სწევას. აუარეველ მაგალითთაგან კიდევ ერთს მოვიყვან: სამშობლოს მომორეებულ საზღვარ-გარეთ მყოფ ქა-

რთველობას ერთი სრულიად უწყინარი ლიტერატურული ჟურნალი „ბედი ქართლისა“ აქვს. ამ ჟურნალის კარგები ღია არის ყველა ემიგრანტი მწერლებისათვის. თუ რა მძიმე მატერიალურ პირობებში გამოიღის იგი და რა მსხვერპლს იღებენ მისი გამომცემელი და რედაქტორი, ეს ღარიბი ემიგრანტული ჯიბის პატრონისათვის ძნელი გასაგები არ არის, მაგრამ ვისაც წაუკითხავს ის მრავალი წერილები, რომელსაც რედაქცია ღებულობს სხვა და სხვა ქვეყნებში გაფანტული ქართველებისაგან, თუ რა მოუთმენლად მოცულიან ჟურნალის ყოველ ახალ ნომერს, რომ გაიგონონ ქართული სიტყვა, ის მიხედება, რომ ჩვენ მიერ გავლული მსხვერპლი, დაკარგული არ არის. ენა მებმება და სირცხვილით ემხევი, რომ ეს უწყინარი საქმეც არ გადაურჩა უკუღმართთა შხამს. ჟურნალს ვერა დააკლეს რა, ვერც დასკვლებენ ვერაფერს, იგი იზრდება და საყოველთაოდ თანაგრძობას იპყრობს.

არის კიდევ ერთი ასპარეზი, სადაც ამ უცნაურთა თარეშს საზღვარი არა აქვს. ეს არის ჩვენი ემიგრაციის პოლიტიკური ცხოვრება; მაგრამ ამის აღწერა შე არ ძალშიძს, და არც არის ჩემი საქმე.

რა კარგი იქნებოდა, რომ მთელი ჩვენი ენერგია მიმართული იყოს მხოლოდ იმ ძალების დასახმარებლად, რომელნიც მართლა მუშაობენ და დაღებთს ქმნიან.

ნინო სალია

### კრებული ურანი

უადგილობის გამო, შემომწირველთა სია დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

იბეჭდება ოცდაექვსი მაისისათვის პოეტი გ. ყიფიანის ახალი წიგნი: „რჩეული შაირების კრებული“. ფასი — 250 ფ.

### ვინ იყო ბრაზი ბერ. ბარბილინი?

(მოგონება ნეაპოლის „ინსტიტუტის“ გარშემო).

1722 წ. — მატტეო რიპა (†1746), იტალიელი მისსიონერი და ორთქმთავლისტი ბრუნდება ჩინეთიდან ნეაპოლში. ის აპარებს აღმოსავლეთის ენათა კოლექს და ამადე დროს „ვეროპისი ენა-





თა სკოლას“ უცხოელებსათვის. მას თან ახლავს 5 ჩინელი სტუდენტი, რომ შეისწავლონ ენები და უმთავრესად რომის კულტურა. 1732 წელს ასეთ სკოლებს მიეცემათ სახელად «Collegio Asiatico».

ისწავლებიან შემდეგი ენები: ჩინური, ჰინდურ და სპარსული. — იტალიანური, ფრანგული და ინგლისური. ვადის დრო და იტალიის მთავრობა მას მისცემს «Istituto Orientale»-ს სახელს, მხოლოდ 1935 წელს მას გაადიდებენ მრავალ ახალ კათედრათა დაარსებით. — 1935 წელსვე ბრუნდებს საქართველოდან იტალიაში ბერნარდო ბარბიელინი, ავტორი წიგნისა: ენები და ერები. კავასია“. — Napoli, Ist. Orientale. ბ. ბარბიელინი იყო ორიენტალისტი, სპარს. და ინდოეთის ენების მოყვარული, ავტორი მთავარი (რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, აფრიკა, კავკასია, 1930 - 35), ის იცნობდა ტფილისის უნივერსიტეტის აღნიშნულს, კ. კეკელიძეს და სხვა პროფესორებს. იყო ხეცსურეთში და დაბეჭდა წერილი: „ვინ არიან ხეცსურნი?“ (Napoli, Annali, 1937). მისი ინიციატივით არსდება ნეაპოლში ქართული ენის და მწერლობის კათედრა: ორი წლის კურსი, სავალდებულო ახლო აღმოსავლეთის შემსწავლელ სტუდენტთათვის. ის მიიწვევს «Société Asiatique»-ის უზამთვლოებით ამ სტრიქონების დამწერს. 1936 წ. ნოემბერში აქვს ადგილი ლექციებს და ვაკეეტილებს, რომელთაც ესწრებიან უმთავრესად სიცილიელი სტუდენტები. ერთი - ერთ სტუდენტთაგანი — ი. პირიტორე მიიღებს (1937 წ.) „რუსეთელის პრემიის“ ნახევარს, შრომისათვის — «Rusthavéli ed il suo poema cavalleresco».

იწყება ოში. ბ. ბარბიელინი მიდის საბერძნეთში, სადაც დაეცემა ბრძოლის ველზე (დეკემბერი, 1940). მისი გარდაცვალების შემდეგ სხვა და სხვა მიზეზების გამო აღიარა იქაური საქმეები და განიადნა კეთილი მოღვაწეობა ბარბიელინისა. ისაბოა: ქართული, სომხური, უკრაინული და პოლონურ ენების კათედრები. (ასეთ კათედრებმა დაარსებეს: 1936 - 43 წლამდე). დღეს Istituto Orientale განიცდის დიდს კრიზისს და იქ ლაპარაკი „კათედრების“ აღდგენის გარშემო სრულიად შეუძლებელია.

მიუხედავად ამისა ლექციებს საქართველოს კულტურის გარშემო აქვს ადგილი საჯარო მოხსენების სახით: ნეაპოლში (და კამპობასოში\*).

\*) მოხსენებებს კითხულობს ბ. შ. ბერიძე.

შვიდი წლის განმავლობაში დაიბეჭდა იქვე: «Bernardo Maria Cioffi in Georgia», «SciamyI», «Rustavéli», და სხ. — თარგმნა და გამოცემულ იქმნა (1945) მილანში „ე. ტყ.“ სახელით (Ediz. Bianchi-Giovini, illustrata).

ამ თარგმანს თან ახლავს წინასიტყვაობა და და წარმოებულთა დ. კარიჭაშვილის გამოცემის მიხედვით (1902, ტფილისი), რადგანაც სხვა ტექსტის შოვნა შეუძლებელი იყო.

იქვე იქმნა დამზადებული და 1950 წელს დაბეჭდილი: „ფრანგული ენის ფონეტიკა\*\*), კრიტიკული, სადაც მოყვანილია ქართული და მეგრული ენათა მაგალითები. უმთავრესი დაწესკვი ასეთი შრომის არის: არცერთ ენას არ შეიძლება ჰქონდეს 5 ხმოვანზედ მეტი: ა, ე, ი, ო, უ. სრული უაზრობაა, — თითქოს სლავიანურ ენებს ჰქონდეთ 8 ან 11 ხმოვანი., კორეის ენას 12 და ბერბერულს, აფრიკაში, 29... (Prof. F. Bégunot, ყოფ. დირექტორი იმავე „ინსტიტუტისა“ ნეაპოლში). დიფტონგი და ტრიფტონგი („ია“, „აი“, „აია“, „აიუ“ და სხვ.) არ წარმოადგენენ ახალ ხმოვანს, არამედ კომბინაციებს იმავე 5 ხმოვანთა გარშემო (ა, ე, ი, ო, უ, ფრანგულათ: a, e, i, o, ou). ადამიანის ენა, — სზოგადოთ, — უნიკოა გამოსატყვას ხუთ ხმოვანზედ მეტი; ზოგ ენებს აქვთ 4 ხმოვანი (არამული); ბასკური იცნობს იმავე 5 ხმოვანს მხოლოდ.

გრაფ. ბ. ბარბიელინი ღირსია ყურადღების; მან იცოდა ქართული წერა-კითხვა. იყო პირველი დირექტორი განახლებული «Istituto»-სი (1935—40) და უყვარდა ბრძოლა სიმართლისათვის, პატარა ერების დამოუკიდებლობისათვის.

გარდაიცვალა 40 წლისა.

შ. ბერიძე

Campobasso — Frosolone (Italia).

\*\*\*) ყველა ზემო ხსენებულ შრომების ავტორია თვითონ ამ წერილის დამწერი.

სოლომონ გვირს საზღავის შესახებ

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

„ბედი ქართლისა“-ს № 8 - ში — მეფე სოლომონის საფლავის შესახებ დაბეჭდილ წერილში ორი ადგილია, რომელთაც ესაჭიროება ცოტა შესწორება, ამიტომ გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი:



1. პირველს თქვენ თითონვე უარყოფთ და მე დაგემოწმებთ: თითქოს რუსების იუკუპაციის დროს გაქვსნათ საფლავი და გვამი მოგეტაცნათ. 1915 წლიდან ე. ი. ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ მის დატოვებამდე რუსების მიერ, ესე იგი 1918 წლამდე, მე ტრაპიზონში ვახდით, სადაც 300 - მდე ქართველი გვევლებოდა. ჩვენ მეტად კარგი განწყობილება გვქონდა ადგილობრივ მართლმადიდებელ მიტროპოლიტ **ხრიზანთოსთან**, რომელიც მეტად ჭკვიანი და განათლებული ადამიანი იყო.

ამ ხნის განმავლობაში მეფე სოლომონის საფლავი მუდამ ყვაილებით იყო შემკული და ყოველ წელს პანაშვიდს ვიხდიდით.

2. თქვენი წერილის ბოლოში, პატარა საყვედური ქართული საზოგადოებრივი „გულგრილობის“ ვამო: „ეს დრამატული ბოლო სოლომონ მეფისა იმიტომ მოვიყვანეთ, რომ უფრო მწვავედ ვივარძნოთ მიუტოვებელი დანაშაული მის წინაშე, რომ დამოუკიდებლობის დროს, როდესაც ამისი საზუალება გვქონდა, მეფის ნიშტი საქართველოში არ გადმოვასვენეთ“...

ეს თქვენი საყვედური გამოწვეულია რასაკვირველია იმით, რომ არავითარი ცნობები არ ყოფილა გამოქვეყნებული ამ საქმეზე მუშაობის შესახებ; იმიტომ ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ეს ცნობები ქართულ საზოგადოებას მივაწოდეთ.

1914 - 18 წ. ომის დროს, ტრაპიზონის აღების შემდეგ, ეს საკითხი აღძრული იყო სოც. - ფედერალისტების მთავარ კომიტეტში, რომელმაც პირობების გამოჩვენება დაავალა ბათუმის კომიტეტს, განსვენებული ს. მღვიანის თავმჯდომარეობით. მაგრამ მარტო სოც. - ფედერალისტები არ ღებულობდნენ მონაწილეობას ამ საქმეში, არამედ ნაც. - დემოკრატები: ექიმი ელიზა (მამა), ქალაქის თავი კრინიკი; სოც. - დემოკრატები: გიზო ანჯაფარიძე, კაპ. გოგოლაძე და სხვანი. აჭარაში და ლაზისტანში ვმუშაობდით ამ დროს: არჩილ ჯაჯანაშვილი, კ. კობახიძე და მე. ჩვენ სამს დაგვევალა ამ საქმის მოგვარება. გამართეთ მოლაპარაკება მიტროპოლიტ ხრიზანთოსთან, რომელიც ტაძრის ვალაყანში ცხოვრობდა, მაგრამ აუცილებელი შეიქნა ნებართვარუსის ხელისუფლებისა, რადგან ტრაპიზონი ციხე იყო და იქ საალყო წესები არსებობდა. მიუხედავად ციხის ჯარების უფროსის ლენერალ ვეარკის (ამ უხმად არგენტინაში იმყოფება) კეთილგანწყობილებისა ჩვენდაი, რუსების ცენტ-

რალურმა (კავკასიურმა) მმართველობამ ნება არ დაგვრთა პოლიტიკური მოსაზრებით და უნებართვით ბერძნებმა საფლავის გათხრის ნება არ მოგვცეს...

როდესაც ოსმალებმა ტრაპიზონი დაბრუნეს, როგორც მოგეხსენებათ, იქ პირველი კავკასიურ - ოსმალური კონფერენცია გაიმართა. კავკაღილეგაცია ორი - სამი კვირის განმავლობაში დარჩა ტრაპიზონში. ამ კონფერენციის ერთ მღვიანთაგანი ვიყავი მეც და იმიტომ მოწმე იმისი, რომ მეტიდან გადასვლისთანავე ბ. ვახტანგ ლამბაშიძემ მომთხოვა სოლომონ მეფის საფლავზე წამყვანა, და როდესაც გზა ვასწავლე, თითქმის ყოველდღე დადიოდა საფლავზე ყვავილებით და თავისი „სახელგანთქმული“ აპარატით ხელში, იგი უძღვებოდა ხოლმე ყველას საფლავისაკენ. მეორე დღესვე ბნ. აკაკი ჩხენკელი ბნ ლამბაშიძესთან და ჩემთან ერთად იყო სასაფლაოზე; აუდიენციაც მივიღეთ მიტროპოლიტთან, რომელმაც მთელი საათი დესაუბრეთ. აგრეთვე მთელი ქართული ნაწილი მივიდა საფლავზე გამოსამშვიდობებლად.

ცოტა ხნის შემდეგ, ე. ი. ბათუმის კონფერენციის დასრულებისას, მომიხდა ევროპაში გამგზავრება ჩვენ დელეგაციასთან ერთად, მაგრამ ვანსვენ. იგიო რცხილაძე და მე დავრჩით სამუშაოდ სტამბოლში, სადაც ბოლომდე ვასრულებდი გენერალური კონსულის თანამდებობას.

1919 წელს მივიღე საგარეო საქმეთა მინისტრის ბონ **გ. გეგეკორისაგან** წერილი, (რომელსაც თვითონ შეუძლია დაამოწმოს ეს ფაქტი), რომლითაც ის მთავლებდა სათანადო ყურადღება მიგვექცია მეფე სოლომონის საფლავის საკითხისათვის. იმ დროს დიდ მუშაობას ვაწარმოებდით მუნაჯიკების საქართველოში დაბრუნებისათვის. ამხედ ჩვენ მოლაპარაკება გვქონდა კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქ მელოტისთან და აგრეთვე სულთან მახმედ მე-VI-ს მინისტრ შამბელანთან, ავნი ფაშა ლორთქიფანიძესთან. სულთანის უფროსი მეუღლე იყო ქართველი მანდილოსანი — ჯაფარიძის ასული და იმიტომ სულთან ქართველებს მეტის პატივით ეპყრობოდა. ამათვანაც უკვე მიღებული გვქონდა ნებართვა, მაგრამ სამუშაოდ, აქაც ომიექტიურმა პირობებმა შეგვიშალა ხელი. ეს ომიექტიური პირობები **ესე**: ქემალ - ფაშის მიერ ანატოლიის და შემდეგ მთელი ოსმალეთის დაპყრობა, საქართველოს წარმომადგენლების მოსპობა და განდევნა ოსმალეთიდან და კიდევ უფ-



როცა ადრე ბერძენების სამღვდელმთავროების გაშორებაცა  
ანატოლიიდან.

როგორც ხედავთ, განსვენებული მეფე სოლო-  
მონის საფლავი სულ უყურადღებოდ არ იყო  
მიტოვებული და ცოტაოდენი მუშაობა მაინც  
იყო გაწეული.

პატივისცემით **ი. გოგოლაშვილი**

### სოლომონ მეფის ნეშტის შესახებ

დიდა! საქართველომ, 1918 წელს, თავისი და-  
მოუკიდებელი სახელმწიფო აღადგინა, ჰყავდა  
მთავრობა და სოლომონ მეფის ნეშტი სამშობ-  
ლო მიწას ვერ დაუბრუნა. ვერ დაუბრუნა იმ  
მიწას, რომლის თავისუფლებას გმირმა მეფემ  
თავისი გვირგვინი და თავისი თავისუფლება შე-  
სწირა.

დღეს ამ გმირის საფლავი, თურმე, აღარ არ-  
სებობს და შეიძლება მისი ძვლებიც სამუდამოდ  
დავკარგეთ.

ეს ისტორიული დანაშაულობა ჩვენს თაობას  
მძიმედ დააწვა. მომავალი თაობები პასუხს მო-  
გვთხოვენ ამისათვის.

ერთი მოგონება.

პირველი დიდი ომის ორიოდ წლის უწინ,  
პეტრე სურგულაძის მეთაურობით, ქ. ჟენევაში,  
დავარსეთ „ქართველ სეპარატისტთა ჯგუფი“.  
1914 წელს ომმა იფეთქა. შევადგინეთ „საქართვე-  
ლოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. წევრე-  
ბი: პ. სურგულაძე, ლეო კერესელიძე, მიხ. წერე-  
თელი, ნესტორ მალალაშვილი და გიორგი კერე-  
სელიძე. გერმანიასთან ხელშეკრულება დავდეთ.  
დაგვირდა: დიპლომატიით და მილიტარულად  
საქართველოს დამოუკიდებლობას ხელს შეუ-  
წყობდა. გვირჩია ოსმალეთის მთავრობასაც მოვ-  
ლაპარაკებოდით, რათა ჩვენი სამოქმედო ას-  
პარეზი საქართველოს საზღვრებთან, ანუ ოსმა-  
ლეთის ტერიტორიაზე, უნდა ყოფილიყო. სტამ-  
ბოლს ლ. კერესელიძე გავზავნეთ. ოსმალეთმა  
დახმარება აღგვითქვა, და კომიტეტს „ექსტერი-  
ტორიალური სტატუტი“ მისცა. ლ. კერესელი-  
ძემ მოლაპარაკების დროს, მაშინდელ მთავრო-  
ბის ყველაზე ფაქტობრივ წევრს, ენვერ-ფაშას  
სათხოვა: განთავისუფლებული საქართველოს სო-  
ლომონ მეფის ნეშტი დაუბრუნეთო. რასაკვირ-  
ველია ენვერ-ფაშა დასთანხმდა.

მივიღეთ რა ლეო კერესელიძის დებემა, პეტ-  
რე სურგულაძე, ნ. მალალაშვილი და მე გავემ-  
გზავრეთ სტამბოლისაკენ და იქიდან, ლეოსთან

ერთად, 1914 წლის მიწურულში, ტრაპიზონს  
ჩავედით. იქ, მელიტონ ქარცივაძე მოვიწვიეთ  
კომიტეტის წევრად და პირველივე სხდომის შე-  
ხვედრებში, მთელი კომიტეტი ვეახელით სოლომონ  
მეფის სამარეს. ვაწირვინეთ და მუხლმოდრეკი-  
ლებში შევფიცეთ სოლომონს, თავგანწირვით ვე-  
ბრძოლოთ მტერს. რამდენიმე კვირის შემდეგ,  
მიხეილ წერეთელი და გიორგი მახაბელიც ჩამო-  
ვიდნენ ტრაპიზონში. გიორგი შემოგვიერთდა  
და ამის შემდეგ კიდევ არა ერთხელ კომიტეტი  
მთელი შემადგენლობით, ან ცალ-ცალკე ვეახ-  
ლებოდით ხოლმე სოლომონ მეფეს. იმ დროს მე-  
ფის სამარე და ქვა, ისტორიული წარწერით, კა-  
რგათ იყო მოვლილი ბერძენთა ეკლესიის მიერ.

ტრაპიზონში, ყოვლად შემძლე „ახალგაზრდა  
თურქთა“ კომიტეტს, დიდად ვავლენიანი რიზა-  
ბეი (გონივრე ქართველი სისხლით, ჩხეიძე ვეა-  
რად) წარმოადგენდა; როდესაც მას და ტრაპი-  
ზონის ვალის ვაცნობეთ ჩვენი სურვილი: —  
სოლომონის ძვლები საქართველოს დაუბრუნდ-  
ნენ — გვიპასუხეს: — საკმარისია საქართველოს  
მთავრობამ თავისი სურვილი სტამბოლს აცნობოს  
და სოლომონ მეფის ნეშტს, დიდი პატივის ცე-  
მით, თავის ქვეყანას დაუბრუნებთო.

ასე ჰვიჭრობდა „ახალგაზრდა თურქთა“ მთა-  
ვრობა. დარწმუნებული ვარ, ოსმალეთის არც  
სხვა მთავრობა გვეტყოდა უარს ჩვენი კანონი-  
ერი სურვილი დაეცმაყოფილებია.

გიორგი კერესელიძე

### რედაქციისაგან

ჩვენ საამოვნიებით ვათავსებთ ბ.ბ. ს. გოგოლა-  
შვილისა და გ. კერესელიძის წერილებს, სადაც  
საინტერესო ცნობებია მოცემული.

სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ტრა-  
პიზონში მცხოვრები ან გამვლელი ქართველი  
ნახულობდა სოლომონ მეფის საფლავს, თაყვანს  
სცემდა მას და ყვავილებით ამკობდა.

ბ. ს. გოგოლაშვილის „შესწოება“ სრული-  
ებით არ აბათილებს იმ საყვედურებს, რომელიც  
ჩვენ წერილში გამოვსთქვით, რომ დამოუკიდებ-  
ლობის დროს სოლომონ მეფის ნეშტი საქარ-  
თველოში არ ფადმოვასვენეთ. ოსმალეთთან ჩვენ  
ნორმალური დამოკიდებულება გვქონდა, იქ ილ-  
ჩიც გვყავდა და ის „ხელისშემშლელი თბიჭი-  
ური პირობები“, რომელიც ბ. გოგოლაშვილს  
მოყავს, 1919 წლიდან უკვე აღარ არსებობდნენ.



### ჭიათურის შავი-ქვის მკაფველობის წარმოშობა - განვითარება და მისი როლი მომავალ ქართულ ეკონომიკაში

ბ. მიხ. ჩუბინიძის მოხსენების მოკლე შინაარსი

ჭიათურის შავი-ქვის აღმოჩენის შესახებ არსებობს ორი თქმულება: I. ეს მაღანი აღმოაჩინა ჩვენმა დიდმა მწერალმა აკაკი წერეთელმა 1885 წელს; II. მჭედელმა გედევან ჩუბინიძემ 1872 წ. შემდეგ პირობებში: იგი მიდიოდა ცხენით ზედაფონიდან: თავის ძმასთან შუქურთში; უნდა გაეფლო ჭიათურის ხეობაში; დაღამდა, ერთი ადგილას ცხენმა ვერ გაიარა, ჩამოხტა და გაუძღვა; გადახტომის დროს ცხენმა ნალი წამოკრა ქვას და ნაპერწკლები გაუვიდა; მობრუნდა, აიღო ქვა; მას ეგონა კაჟი, ჩასდვა ხურჯინში და ძმას მიუტანა საჩუქრად, კალოზე წამოადგებო. ნახეს დილას, კაჟი არ გამოდგა; გარეცხეს, შავი წყალი გაუვიდა; გასტენეს, შიგო ოქროს ფერად ბრწყინებდა, გედევანმა იფიქრა: ეს ალბათ რალაკა მაღანია, და უკანვე წამოიღო სახლში. მას მეგობარი ყველა ფოთში ბერძენი, სიმინდით მოვაჭრე; აჩვენა ეს მაღანი. ბერძენი იმ წამსვე მიხვდა, ფული შეაძლია და სთხოვა შეეძინა ასეთი მაღანი; მან უპასუხა: არ ვიცი სად არის, თევზაობის დროს წყლის პირას ვიპოვეო. ბ. ჩუბინიძე დატრიალდა, შეიძინა ვაშაძეებისაგან ზედა რგანში შავი ქვა, რომლითაც შემორგული ქონდათ ბოსტნები, ჩამოიტანა ურმებით ზედა-ფონში, იქიდან მატარებლით ფოთში, დატვირთა ერთი პატარა 38.000 ფუთიანი ვეში, გაგზავნა ინგლისში. გაიყიდა ლივერპულში ძალიან კარგ ფასებში. გაგზავნა მეორე ვეშიც. ამ ამბავს მოყვა უცხოელების შემოსევა; შეიქმნა ქიშობა. ამუშავდა შორაპნის მაზრა, ამას ყურადღება მიაქცია რკინის გზის სამმართველომ, დაიწყო ეიწრო ლიანდაგის გაყვანა ჭიათურის ხეობაში 1892 წ. და დასრულდა 1895 წელს; ამნაირად დამთავრდა პირველი ხანა ჭიათურის მრეწველობისა. —

**მეორე ხანა:** მატარებლის ამოძრავებებს მოყვა ბევრი ევროპელი, უფრო მეტად ბერძენები, მერე ქართველები წვირილ მრეწველები; შეიქმნა ხანა მტაცებლობისა, რომელსაც ბოლო მოუღო „ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭო“-ს დაარსებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ეიო-

რგი ზედანოვიჩი, მოადგილე—კიტა აბაშიძე. გაჩნდა „სამთა-მადნო“ სამართველო. მრეწველთა საბჭო ეღებულობდა ყოველივე ზომებს, დახმარებოდა წვირილ ქართველ მრეწველებს, რომ უცხოელები არ გაბატონებულიყვნენ, მაგრამ ეს ძნელი საქმე იყო, რადგან უცხოელებს მეტი კაპიტალი ჰქონდათ. მრეწველთა საბჭომ შესძლო დაეკანონებია, რომ თითოეული გატანა იფუთხე იფლო I კაპეკი, შემოსული თანხა დაჩრენილიყო საქართველოს ფარგლებში და აღმშენებლობას მოხმარებოდა. ვააკეთა მისთვის გზები სამრეწველო სოფლებში, ააგო ყვირილაზე საუკეთესო ქვის ხიდები, ააშენა დიდი ახანო და შექმნა დამზღვევე სალარო მუშებისათვის, ააგო საუკეთესო საავათმყოფო, ბინები მუშებისათვის და მოსამსახურებისათვის, ელექტრონის სადგური, წყალსადენები, ტელეფონი; დაარსა სკოლები ჭიათურაში, სოფლებში და ყოველი სამრეწველო რაიონებში, **სწავლა უფასოდ**, მრეწველთა საბჭოს ყველა აგრეთვე მუდმივად დაახლოვებით ოთხასი სტუდენდიანტი საქართველოში, რუსეთში და ევროპაში.

საბჭოს სალარო მუდამ ცარიელი იყო, ყოველთვის ვალი ჰქონდა და ეს იმიტომ, რომ თუ სალაროში ფული იქნებოდა, მას ხელს დაადებდა პეტერბურგის ხელისუფლება.

მრეწველთა ყრილობაზე შეიძლოდა ლაპარაკი მხოლოდ რუსულ ენაზე, ყრილობის თავმჯდომარეს ნიშნავდა რუსეთი.

**მესამე ხანა:** 1914-18 წ. ომის გამოცხადებისთანავე შეჩერდა შავი-ქვის ექსპორტი. დიდი კრიზისი დაიწყო, სრუტეები დაიკეტა. ყველა ქვეყნებმა დაიწყეს შავი-ქვის წარმოება, მაგრამ ვერსად ვერ აღმოაჩინეს იმ ხარისხის ქვა, რაც ჩვენში მოიპოვებოდა. ინგლისი იძულებული გახდა როგორმე მოეხერხებინა ქართული მარგანეცი „პეროქსიდი“ გატანა, უმთავრესად გაზების გასაკეთებლად. ამ მიზნით მან ჩამოიყვანა საიდუმლოთი ჭიათურაში ყოფილი მრეწველი ბერძენი, რომელმაც კიდევაც შესძლო ქართული პეროქსიდის გატანა ინგლისში და საფრანგეთში. ამნაირად ჭიათურის მრეწველობა მუშაობდა მოკავშირეთა სამხედრო ინდუსტრიისათვის.

**მეოთხე ხანა:** 1918 წელს გერმანელები შე-

\*) ბ. მიხ. ჩუბინიძე იყო ჭიათურის შავი-ქვის დიდი მესაკუთრე და მრეწველთა საბჭო სახიგალოების თავმჯდომარე **რედ.**



მოვიდნენ საქართველოში. მათ გამოართეს მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან და უნდოდათ მიეღოთ ჭიათურის შავი - ქვის ყოველ წლიურად არა ნაკლები 50.000.000 ფუთისა. იმ დროს იქნა შედგენილი მთავარი შეთანხმება, რომელიც მოიცავდა 50.000.000 ფუთისა. იმ დროს იქნა შედგენილი მთავარი შეთანხმება, რომელიც მოიცავდა 50.000.000 ფუთისა. იმ დროს იქნა შედგენილი მთავარი შეთანხმება, რომელიც მოიცავდა 50.000.000 ფუთისა.

რამდენიმე ხნის შემდეგ დაარსდა საზოგადოება „ჩემო“, თავდგდომარეობდა გ. ჟურული. სამწუბაროდ ეს მდგომარეობა დიდ ხანს არ გაგრძელდა. გერმანელები წავიდნენ; გვესტუმრენ ჩვენი მეგობრები. კვლავ ამოძრავდა ჭიათურის მრეწველობა, მაგრამ ესეც არ გაგრძელდა დიდ ხანს და საქართველო რუსებმა დაიპყრეს. ჭიათურის მრეწველობა საზოგადოების წევრებმა დასტოვეს საქართველო და გაიხიზნენ უცხოეთში.

შემდეგ მომხსენებელი აღწერს დაწვრილებით საქართველოდან შავი - ქვის კომისიის ჩამოსვლას სტამბოლში ბ. გ. ჟურულის თავდგდომარეობით და სააქციო საზოგადოების და „ჩემო“-ს წესდების ხელ-ახლა დამტკიცებას 20 წლის ვადით საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ნაწილი მრეწველობა საქართველოში დაბრუნდა, ხოლო დანარჩენებმა დიდი პრობლემა გასწიეს ბერლინში ამერიკული ფირმის, ჰარისონის სასარგებლოდ, წინააღმდეგ საქართველოში მყოფ მრეწველობას სურვილისა. მოსკოვის გავლენით ტფილისი იძულებული გახდა ჰარისონის კონცესიას ხელის მოწერა. მაგრამ ვერც ამერიკელებმა იხილეს დიდხანს და 1928 წელს, ქარხნების დაზარების შემდეგ, გააუქმეს კონცესიის პირობები და დასტოვეს ჩვენი ქვეყანა. ამით ისარგებლა ჭიათურის შავი-ქვის საგანგებო სამმართველომ, რომელსაც განაგებდა კარპე მოდებაძე და რომელიც წინააღმდეგ იყო ჰარისონის კონცესიისა, ჩაიგდო ხელში ყველა მომთმავი ქარხნები, უც-

ხოლეებისაგან მეთისყიდა მათი აქციები და მიეღო მრეწველობას დაეპატრონა.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ჭიათურის შავი - ქვის ხარისხის მადანი არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება. სპეციალისტების გამოკვებით, მისი მარაგიც დიდია (7.500.000.000 ფუთი). 1872 — 1930 წლამდე გატანილია მხოლოდ 900.000.000 ფუთი.

დასასრულ, მომხსენებელი აკეთებს მეტად საინტერესო დასკვნას. ციფრებით ხელში იგი ამტკიცებს, რომ საქართველოს სახელმწიფოს მთელი ბიუჯეტის დაფარვა შეუძლია მარტო ჭიათურის მრეწველობას, რაც, უდავოდ, უდიდეს პერსპექტივას უხსნის ჩვენ ერს, თუ მას დამოუკიდებლობა ელირსა.

**ქართველ - ამერიკელთა ლიგის მოწოდება**

„ბედი ქართლისა“ რედაქციამ მიიღო შემდეგი მოწოდება:

პატივი გვაქვს გაუწყობთ, რომ ნიუ - იორკში დაარსდა „ქართველ - ამერიკელთა ლიგა“, რომლის მიზანია საქართველოს განთავისუფლება და მისი სრული დამოუკიდებლობის აღდგენა.

ყველასათვის ცხადია, რომ ვაშინგტონი დღეს წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის უდიდეს ცენტრს. ერების მომავალი ბედ - ილბალი დამოკიდებულია იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც აქ იქნება მიღებული. ჩვენი ერის ინტერესები აუცილებლად მოითხოვს, ამ გადაწყვეტ მომენტში აქ ისმოდეს საქართველოს ხმა. სწორედ ამ მოსაზრებით დაარსდა ამერიკაში შემოსენებული ლიგა, არა პარტიული ორგანიზაცია, რომლის წევრად შეიძლება იყოს ყველა ქართველი, ვისაც სურს ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის.

ლიგის უახლოვეს მიზანს წარმოადგენს ამერიკაში საზოგადოებრივი აზრის მომზადება და კავშირის დამყარება ამერიკულ მთავრობასთან, რათა გაშუქებულ და გაცნობილ იქნას ყველა საკითხები, რაც საქართველოს შეეხება.

...დარწმუნებულნი ვართ, რომ ევროპაში მყოფი ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები ღირსეულად დაფასებენ ამერიკაში ასეთი ორგანიზაციის დაარსების მნიშვნელობას და გაგვინაწილებენ მრავალ წლების განმავლობაში მიღებულ ცოდნა - გამოცდლებას.

აგრეთვე ვფიქრობთ, რომ ის ფაქტი, რომ სა-



ქართველთა ჰყავს უცხოეთში იურიდიულად ცნობილი წარმომადგენლობა, გაგვიადვილებს კავშირის დამყარებას ვაშინგტონის ოფიციალურ წრებთან.

შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა გვაძლევს იმედს, რომ ემიგრაციაში არსებული ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები, მიუხედავად მათი პარტიული სხვადასხვაობისა, ერთსულვნად და მეგობრულად შეაერთებენ თავიანთ ძალებს, ყველასათვის უძვირფასესი მიზნის მისაღწევათ.

- ქართველ - ამერიკელთა ლიგის დავალებით:
- თ. ბაგრატიონი
  - ლ. დუმბაძე
  - პ. კვარაცხელია
  - გ. კობახიძე
  - ი. ორბელიანი
  - დ. ჩხატარაშვილი

ლიგამ გაუფასვნა ამერიკაში მცხოვრებ თანამემამულეთა შემდეგი მიმართება: „ჩვენი სურვილია ამ შეტად მნიშვნელოვან მუშაობაში ყოველმა ქართველმა მიიღოს მონაწილეობა. მოგმართავეთ თხოვნით და გაშროვსთქვამთ იმედს, რომ თქვენც ვაიზიარებთ ჩვენ მიერ დასახულ მიზნებს, იცნობთ ჩვენი მოღვაწეობის აუცილებელ საჭიროებას, მოისურვებთ თქვენი წვლილის შეტანას საქართველოში და გახდებით წევრი ჩვენი ორგანიზაციისა“.

### თეთრი გიორგის განცხადება

„ბედი ქართლისას“ რედაქციას ვსთხოვთ, ადგილი დაუთმოს თვის ორგანოში შემდეგ განცხადებას:

„საქართველო უწინარეს ყოვლისა“

ვითვალისწინებთ რა, დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკურ მდგომარეობას და ქართველთა მოქმედების პირობებს უცხოეთში, გამოვსთქვამთ სურვილს, რომ საჭიროა მოხდეს ემიგრაციაში არსებულ ყველა ეროვნულ ძალთა გაერთიანება და შეთანხმებული მუშაობის წარმოება.

უნდა შეიქმნას ქართული პოლიტიკური ცენტრი პარიზში, სადაც იმყოფება საქართველოს ნაციონალური მთავრობა და პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელობა.

ამ ცენტრს უნდა დაუქვემდებაროს ყოველმა ქართველმა თავისი ეროვნული საქმიანობა.

თანამხად ჩვენი მოძრაობის მეთაურის. პროფ. მიხეილ წერეთლის ღირებულებებისა, თეთრი გიორგი მიიღებს მონაწილეობას მხოლოდ ისეთ გაერთიანებაში, რომლის ხასიათი და მიზანი არ ეწინააღმდეგება ზემოთქმულს.

თეთრი გიორგის სამდივნო

### ს რ ო ნ ი კ ა

#### პარიზის სათვისტომოში

ა/წ. 28 იანვარს, პარიზში შესდგა ქართული პოლიტიკურ ორგანიზაციათა და უპარტიოთა კრება, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. განხილულ იქმნა საკითხი ქართველთა მცირე ნაწილის მიერ დაარსებული ე. წ. „პოლიტიკური ცენტრის“ შესახებ.

კრებამ ერთხმად დაემო გააწიშველი გამოსვლა ამ ორგანიზაციისა, მისი არსებობა მანვე აღიარა და გამოსთქვა სურვილი — შექმნეს ერთი ხელმძღვანელობა მთელი ქართული ეროვნული ძალების მონაწილეობით.

#### ნოე რამიშვილის გარდაცვალებიდან ოცი წლის თავზე

1950 წ. 17 დეკემბერს, პარიზში მოწყობილი იქმნა სამთქალსაქო პანაშვიდი, დამოუკიდებელ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის გარდაცვალებიდან ოცი წლის თავის აღსანიშნავად.

#### გიორგი გვაზავას გარდაცვალებიდან ათი წლის თავზე

ა/წ. 13 იანვარს, პარიზში, ქართულ ეკლესიაში გადახდილი იქმნა პანაშვიდი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, გიორგი გვაზავას გარდაცვალებიდან ათი წლის თავზე.

#### სამგლოვიარო

„ბედი ქართლისა“ თანაგრძნობას უცხადებს ბ. ვ. გაბელაშვილს მისი მეთელის გარდაცვალების გამო.

მწუხარებით ვაუწყებთ ქართველ საზოგადოებას, რომ ვიეტნამში, ბრძოლის ელზე დაეცა ფრანგული ჯარის ოფიცერი, ჩვენი თანამემამულე ოთარ კიბარაშვილი. უღრმეს თანაგრძნობას უცხადებთ განსვენებულის მშობლებს.